

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის დეპარტამენტი

ხელნაწერის უფლებით

თამარ ჯაფარიძე

დაუგეგმავი ორსულობები, მათი გამოსავალი და კავშირი
კონტრაცეპციის გამოყენებასთან საქართველოში

დისერტაცია

წარმოდგენილი მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი

მედ. მეც. დოქტორი, პროფ. ჯენარა ქრისტესაშვილი



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი 2016

სარჩევი

შემოკლებები	4
შესავალი	5
თემის აქტუალობა	5
კვლევის ამოცანები	9
ნაშრომის მეცნიერული სიახლე	10
ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება	12
გამოქვეყნებული შრომების სია	14
ნაშრომის აპრობაცია	15
თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა	16
1.1. დაუგეგმავი ორსულობები	16
1.2. ხელოვნური აბორტები	23
1.3. კონტრაცეპციის გამოყენება	34
1.4. კონტრაცეპციაზე ინფორმირება	41
თავი 2. მასალა და მეთოდები	44
2.1. კვლევის ობიექტი	44
2.2. ჩართვის კრიტერიუმები	44
2.3. ცვლადების შერჩევა	45
2.4. კვლევის მეთოდები	49
თავი 3. საკუთარი კვლევის შედეგები	50
3.1. აღწერილობითი სტატისტიკა.....	50
3.1.1. დაუგეგმავი ორსულობები	50

3.1.2. თანამედროვე მეთოდების მომხმარებლების სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების აღწერილობითი სტატისტიკა	58
3.1.3. კონტრაცეპციის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენება სოფლად და ქალაქად	59
3.1.4. კონტრაცეპციაზე ინფორმირების წყაროები	66
3.2. მრავლობითი ლოგარითმული რეგრესიული ანალიზი	69
3.2.1. დაუგეგმავი ორსულობები და ხელოვნური აბორტი	69
3.2.2. კონტრაცეპციის გამოყენება ხელოვნური აბორტის წინა პერიოდში	74
3.2.3. კონტრაცეპციის მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტორები ქართულ პოპულაციაში	79
3.2.4. კონტრაცეპციის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენება ქალაქად და სოფლად	102
3.2.5. ინფორმირების წყაროს გავლენა კონტრაცეპციული მეთოდების გამოყენებაზე	105
თავი 4. მიღებული შედეგების განხილვა	112
თავი 5. დასკვნები	124
თავი 6. რეკომენდაციები	127
გამოყენებული ლიტერატურა	140

აბრევიატურა

TIAR – Total Induced abortion Rate - ხელოვნური აბორტების ჯამობრივი კოეფიციენტი

AR - აბორტების ზოგადი კოეფიციენტი

UNFPA - United Nations Population Fund - გაეროს მოსახლეობის ფონდი

USAID - United States Agency for International Development - ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

UNICEF - United Nations Children’s Fund - გაეროს ბავშვთა ფონდი

SD – სტანდარტული გადახრა

OR - შეფარდებითი რისკი

TFR - total fertility rate (TFR)

შესავალი

თემის აქტუალობა

დაუფეგმავი ორსულობების შემთხვევების მაღალი სიხშირე და მისი შემდგომი ხელოვნური აბორტების დიდი რაოდენობა კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მსოფლიოში¹. ორსულობაზე არასაკმარისი ან დაგვიანებული პრენატალური მეთვალყურეობის გამო მან შეიძლება არასასურველი გავლენა იქონიოს ქალის, როგორც საერთო, ისე მის სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და მოჰყვეს სერიოზული მენტალური და ფიზიკური პრობლემები, როგორც მისთვის, ასევე მისი ოჯახისთვის⁽²⁾. როგორც სხვა ქვეყნებისთვის, ისე საქართველოსთვისაც აქტუალური პრობლემაა დაუფეგმავი ორსულობების მაღალი სიხშირე, რომელიც ხშირად ორსულობის ხელოვნური შეწყვეტით მთავრდება. ხელოვნური აბორტის გართულებები: საშვილოსნოდან სისხლდენა, საშვილოსნოს პერფორაცია, ინფექციური გართულებები, აბორტისშემდგომი უშვილობა და მენსტრუალური ციკლის დარღვევები დაკავშირებულია ქალის რეპროდუქციული და ზოგადი ჯანმრთელობის გაუარესებასთან და ზედმეტ სამედიცინო ხარჯებთან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში 1990 წლიდან 2008 წლამდე ხელოვნური აბორტების ჯამობრივმა კოეფიციენტმა დაიკლო 3,7-დან 1,6-მდე ყოველ ქალზე, მათი სიხშირე კვლავ მაღალი რჩება.

საქართველოში კონტრაცეპციის გავრცელებაში და შემდგომი ხელოვნური აბორტების მაჩვენებლების შემცირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჯანდაცვის სისტემის რეორგანიზაციამ და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა პროგრამებმა. 2000 წლიდან გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ განხორციელებულ პროგრამებს მოჰყვა სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ინდიკატორების

მნიშვნელოვანი გაუმჯობესება საქართველოში^{3,4,5}. თუმცა ამ კუთხით ჯანმრთელობის მაჩვენებლები კვლავ არასახარბიელოა.

ვინაიდან დაუგეგმავ ორსულობასთან და ხელოვნურ აბორტებთან დაკავშირებული პრობლემები ქვეყნების მიხედვით სპეციფიურია, ამდენად თითოეული ქვეყნისთვის მეტად მნიშვნელოვანია იმ პრობლემების და რისკ ფაქტორების გამოვლენა, რომელიც დამახასიათებელია კონკრეტული ქვეყნისთვის და მოითხოვს მიზანმიმართულ ღონისძიებების გატარებას მათი მინიმიზაციისთვის^{6,7,8}. მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ დაუგეგმავ ორსულობებზე, ხელოვნურ აბორტებზე და კონტრაცეპციის გამოყენებაზე გავლენას ახდენს სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ტრადიციული ფაქტორები: ქალის საცხოვრებელი, ასაკი, განათლების დონე, ეთნიკური წარმომავლობა, რელიგიურობა, ცოცხალი ბავშვების რაოდენობა, ქალის მატერიალური შესაძლებლობა და სხვა^{9,10,11}. ეს ფაქტორები ხშირად განსაზღვრავენ რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე და კონტრაცეპტიულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობას¹². მაგალითად, სუბსაჰარულ აფრიკაში, სადაც დაუგეგმავი ორსულობების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აღინიშნა, რისკის ფაქტორებად სახელდება სიღარიბე, სტიგმა მარტოხელა დედობისადმი, კულტურალური უპირატესობის მინიჭება ვაჟისათვის, ქალის ანაზღაურებადი სამუშაო ან სწავლა, მეტი შვილის ყოლის სურვილის არ ქონა, პარტნიორისგან მხარდაჭერის არარსებობა, ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე არასაკმარისი წვდომა, კონტრაცეპციის გამოყენებლობა, უმუშევრობა, ავადმყოფობა და სხვა⁴¹. ოკაიომი (აშშ) დაუგეგმავი ორსულობები ძირითადად აღენიშნათ ახალგაზრდა ასაკის, გაუთხოვარ, სამ და მეტშვილიან, განათლების დაბალი დონის და შავკანიან ქალებს¹³. ესპანეთში ქალის განათლების დაბალი დონე და დაბალი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა კორელირებდა დაუგეგმავი ორსულობის რისკის მატებასთან¹⁴. კენიაში, ბარაკებში მაცხოვრებლების დაუგეგმავი ორსულობების რისკი ასოცირდებოდა ასაკთან, შობადობის მაჩვენებელთან და ქორწინების სტატუსთან, ხოლო არაბარაკებში მაცხოვრებლების - ქორწინების სტატუსთან და ეთნიკურობასთან¹⁵. ძირითადად, დაუგეგმავი ორსულობების მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება განვითარებად

რეგიონებში, რადგან ხშირია კონტრაცეპციის არ გამოყენება ან კონტრაცეპციის გამოყენება, ძირითადად ტრადიციული მეთოდების¹⁶.

დაუგეგმავი ორსულობების ხელოვნური აბორტით დასრულების თუ არასასურველი ორსულობის პროლონგირების წილიც ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. განვითარებულ ქვეყნებში დაუგეგმავი ორსულობების პროლონგირების და შემდგომ მშობიარობის წილი მეტია, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში (53% vs 48%)⁴¹. აფრიკაში, კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდებზე არასაკმარისი ინფორმირების, ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე დაბალი წვდომის, დაბალი ეკონომიკური მდგომარეობის, სასურველი დიდი ზომის ოჯახების გამო ქალები ხელოვნურ აბორტს ნაკლებად მიმართავენ, რის გამოც შობადობის მაჩვენებლები მათთან მაღალია⁴¹. დაუგეგმავი ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მაჩვენებლები დასავლეთ ევროპაში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მეტია, სადაც ხელოვნური აბორტი დიდი ხნის განმავლობაში ოჯახის დაგეგმვის ძირითადი მეთოდი იყო და როგორც ჩანს, ამჟამადაც რჩება^{17,18}. ჩრდილოეთ ამერიკაში, უფრო ხშირად ვიდრე ევროპაში, ქალები ახდენენ ორსულობის პროლონგირებას (48% vs 25%), რაზეც გავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ ხშირად მარტოხელა დედები ჩრდილოეთ ამერიკაში მატერიალურ დახმარებას იღებენ სახელმწიფოსგან ან ბავშვის გაშვილებას მიმართავენ^{19,20,41}. ხელოვნური აბორტების სიხშირე მაღალია მიგრანტებში, მაგალითად, ჰოლანდიაში განმეორებით აბორტზე უფრო ხშირად ხვდებიან მიგრანტები კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებიდან და 20 წელზე მეტი ასაკის ქალები²¹.

ქალები, რომელთაც მაღალხარისხიან სამედიცინო სერვისებსა და კონტრაცეპტიულ საშუალებებზე ხელი არ მიუწვდებათ, ხშირად მრავალი გამოწვევის წინაშე დგებიან. ოჯახის სწორად დაგეგმვის საკითხებში კონტრაცეპციული მეთოდების შესახებ ინფორმირებასა და ინფორმირების წყაროს სანდოობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს²². ბევრ ქვეყანაში ინფორმირების ძირითადი და სანდო წყარო ექიმია. ძირითადად, ქალებს კონტრაცეპციაზე კონსულტირება აბორტის ან მშობიარობის შემდგომ პერიოდში უტარდებათ. ჰოლანდიაში ექიმების ახალგაზრდებთან მუშაობის

შედეგად კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც ხელოვნური აბორტების რაოდენობის შემცირება მოჰყვა²³.

საქართველოში, პოპულაციის კონტრაცეპციის სფეროში ინფორმირების, განათლების და ცოდნის უკმარისობა კვლავ პრობლემად რჩება. ახალგაზრდების დიდი ნაწილისათვის კონტრაცეპციული საშუალებები ცნობილი არ არის ან მცდარ ინფორმაციას ფლობენ და მათ მიმართ უნდობლობას იჩენენ^{24, 25}. სქესობრივი განათლების წყაროს ძირითადად ჯანდაცვის ობიექტები წარმოადგენენ. არ არსებობს სისტემური სასკოლო პროგრამები, რომელთა დახმარებითაც ახალგაზრდებს შეეძლებათ კონტრაცეპციაზე ინფორმაციის მიღება სქესობრივი ცხოვრების დაწყებამდე.

საქართველოში არ ჩატარებულა კვლევები დაუგეგმავ ორსულობებთან, ხელოვნურ აბორტებთან და კონტრაცეპციის მეთოდების გამოყენებასთან მიმართებაში, რომლებიც გამოავლენდა მათთან დაკავშირებულ დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ რისკის ფაქტორებს. ამიტომაც აქტუალურია ამ საკითხების შესწავლასთან დაკავშირებული კვლევის ჩატარება. ამ კვლევით მიღებული ინფორმაცია დაეხმარება ჯანდაცვის მესვეურებს და პროგრამების შემქნელებს, რათა მათ ქალთა პრობლემების გათვალისწინებით, სპეციფიურად გააძლიერონ მუშაობა სამიზნე ჯგუფებთან და განახორციელონ საჭირო ჩარევები. მიზანმიმართული ღონისძიებები გააძლიერებს კონტრაცეპციის თანამედროვე ეფექტური საშუალებების გამოყენებას, ეს კი თავის მხრივ შეამცირებს დაუგეგმავი ორსულობების სიხშირეს და მათ შემდგომ ხელოვნურ აბორტებს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ჩვენი **კვლევის მიზანს** წარმოადგენდა: დაუგეგმავი ორსულობების, მათი ხელოვნური აბორტებით დასრულების, ხელოვნური აბორტით დასრულებული დაუგეგმავი ორსულობის წინა პერიოდში და ზოგადად კონტრაცეპციის, მათ შორის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენების სიხშირეების დადგენა და მათზე დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური ფაქტორების: ქალის საცხოვრებლის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიურობის, განათლების დონის, ცოცხალი შვილების რაოდენობის, ქალის

ეკონომიკური მდგომარეობის გავლენის განსაზღვრა, ასევე კონტრაქციის შესახებ ინფორმირების მნიშვნელოვანი წყაროების გავლენის დადგენა კონტრაქციის თითოეულ მეთოდის გამოყენებაზე.

კვლევის ამოცანები:

- საქართველოში დაუგეგმავი ორსულობების სიხშირის, მათი გამოსავლის და მათთან პოტენციურად ასოცირებული ფაქტორების (ქალის საცხოვრებელი, ასაკი, განათლების დონე, ქონებრივი ტერცილი, მატერიალური მდგომარეობა, ეთნიკური წარმომავლობა, ცოცხალი ბავშვების რაოდენობა და რელიგიურობა) დადგენა;
- ზოგადად კონტრაქციის და მათ შორის კონტრაქციის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების მოხმარების დადგენა იმ ქალებში, რომლებმაც დაუგეგმავი ორსულობა დაასრულეს ხელოვნური აბორტით და მათთან პოტენციურად ასოცირებული ფაქტორების (ქალის საცხოვრებელი, ასაკი, განათლების დონე, ქონებრივი ტერცილი, მატერიალური მდგომარეობა, ეთნიკური წარმომავლობა, ცოცხალი ბავშვების რაოდენობა და რელიგიურობა) განსაზღვრა.
- სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების (ქალის საცხოვრებელი, ასაკი, განათლების დონე, ქონებრივი ტერცილი, მატერიალური მდგომარეობა, ეთნიკური წარმომავლობა, ცოცხალი ბავშვების რაოდენობა და რელიგიურობა) გავლენის დადგენა კონტრაქციის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენებაზე საქართველოში.
- კონტრაქციის გამოყენების სიხშირე ქალაქად და სოფლად და საცხოვრებლის გავლენა თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენებაზე იმ ქალთა ჯგუფებში, რომლებიც განსხვავდებოდნენ სოციო-ეკონომიკური მახასიათებლებით (ქალის საცხოვრებელი, ასაკი, განათლების დონე, ქონებრივი ტერცილი, მატერიალური მდგომარეობა, ეთნიკური წარმომავლობა, ცოცხალი ბავშვების რაოდენობა და რელიგიურობა).

- კონტრაცეპციაზე ინფორმირების მნიშვნელოვანი წყაროების გამოვლენა და კონტრაცეპციის თითოეული მეთოდების გამოყენებაზე მათი გავლენის დადგენა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

- მულტინომინალური რეგრესიული ანალიზის გამოყენებით პირველად საქართველოში 2010 წლის ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მონაცემთა ბაზის მეორადი ანალიზით განისაზღვრა დაუგეგმავ ორსულობებზე, მათი ხელოვნური აბორტებით შეწყვეტაზე და ხელოვნურად შეწყვეტილ დაუგეგმავი ორსულობის წინა პერიოდში კონტრაცეფციის გამოყენებაზე, მათ შორის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების, დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური რისკის ფაქტორების გავლენა და გამოითვალა მათი გავლენის შეფარდებითი რისკები.
- პირველად სტატისტიკური ანალიზით დადგინდა, რომ დაუგეგმავი ორსულობის სარწმუნოდ ნაკლები შეფარდებითი რისკი ჰქონდათ ქალაქად მაცხოვრებელ ქალებს სოფლად მაცხოვრებლებთან შედარებით. ქალის ასაკი, განათლების დონე, ეკონომიკური მდგომარეობა უარყოფითად და ცოცხალი შვილების რაოდენობა დადებითად კორელირებდა დაუგეგმავი ორსულობების სიხშირესთან. ეთნიკურ წარმომავლობას და რელიგიურობას არ ჰქონდათ სტატისტიკურად სარწმუნო გავლენა დაუგეგმავი ორსულობების მაჩვენებლებზე.
- სტატისტიკურმა ანალიზმა არ გამოავლინა დაუგეგმავი ორსულობის ხელოვნური აბორტით შეწყვეტაზე ქალის საცხოვრებლის, ასაკის, განათლების დონის, ქალის შემოსავლის და რელიგიურობის გავლენა. თუმცა, დადგინდა, რომ ქართველები უფრო ნაკლებად მიმართავდნენ ხელოვნურ აბორტს, ვიდრე სხვა ეთნიკურობის წარმომადგენლები, ისევე როგორც ქალები მაღალი ქონებრივი ტერცილით დაბალი ქონებრივი ტერცილის მქონე ქალებთან შედარებით.
- პირველად, საქართველოსთვის, დადგინდა, რომ ხელოვნური აბორტის წინა პერიოდში კონტრაცეპციის გამოყენება არ იყო კორელაციაში ქალის საცხოვრებელთან, ასაკთან, განათლების დონესთან, ეკონომიკურ მდგომარეობასთან,

ქონებრივ ტერცილთან და ეთნიკურ წარმომავლობასთან. არაქართველი მართლმადიდებლები უფრო ხშირად იყენებდნენ კონტრაცეპციის რაიმე მეთოდს, ვიდრე ქართველი მართლმადიდებლები.

- პირველად დადგინდა, რომ ხელოვნურად შეწყვეტილი დაუგეგმავი ორსულობის წინა პერიოდში ქალაქად მაცხოვრებლები სოფლად მაცხოვრებლებთან შედარებით, 20-34 წლის ქალები 40-44 წლის ქალებთან შედარებით, ქართველები სხვა ეთნიკურ წარმომადგენლებთან შედარებით სარწმუნოდ უფრო ხშირად იყენებდნენ კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდებს. მუსლიმები და სხვა მართლმადიდებლები ქართველ მართლმადიდებლებთან შედარებით უფრო ნაკლებად იყენებდნენ კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდებს. განათლების დონე და ქონებრივი ტერცილი უარყოფითად კორელირებდა კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდების მოხმარებასთან. თუმცა, სტატისტიკურად უფრო მძლავრი ფაქტორები ასაკი და ქონებრივი ტერცილი აღმოჩნდა.
- მულტინომინალური რეგრესიული ანალიზით პირველად განისაზღვრა კონტრაცეპციის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებაზე დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების (ქალის საცხოვრებლის, ასაკის, განათლების დონის, ქონებრივი ტერცილის, მატერიალური მდგომარეობის, ეთნიკური წარმომავლობის, ცოცხალი ბავშვების რაოდენობის და რელიგიურობის) გავლენის შეფარდებითი რისკი. დადგინდა, რომ ქალაქად მაცხოვრებელი ქალები სოფლად მაცხოვრებლებთან შედარებით მეტად იყენებდნენ მამაკაცის კონდომს. 40-44 წლის ქალებთან შედარებით დაბალი ასაკობრივი გჯუფის ქალები ნაკლებად იყენებდნენ სშს-ს და მამაკაცის კონდომს, ხოლო 30-39 წლის ქალები მეტად იყენებდნენ კონტრაცეპციულ აბებს და მამაკაცის კონდომს. განათლების მაღალი დონე ასოცირდებოდა კონტრაცეპციის გამოყენების მაღალ ალბათობასთან. ქართველი ეროვნების ქალებთან შედარებით სომეხი ეროვნების ქალები ნაკლებად იყენებდნენ კონტრაცეპციულ აბებს, სშს-ს და მამაკაცის კონდომს, აზერბაიჯანელები - მამაკაცის კონდომს და მეტად - სშს-ს.

- პირველად განისაზღვრა მაცხოვრებლის (ქალაქი, სოფელი), როგორც პრედიქტორული ფაქტორის, შეფარდებითი რისკი კონტრაცეპციის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენებაზე სოციო-ეკონომიკური ნიშნით დაყოფილ ქალთა ჯგუფებში. დადგინდა, რომ ქალაქად მაცხოვრებელი ქალები 20-44 წლის ასაკში, მაღალი განათლების დონით, დაბალი მატერიალური შესაძლებლობით, დაბალი ქონებრივი ტერცილით, 1, 2 და 3 ცოცხალი ბავშვების რაოდენობით, ქართველები და სომხები, მართლმადიდებლები და „სხვა“ რელიგიები სოფლად მაცხოვრებელ იგივე მახასიათებლების მქონე ქალებთან შედარებით სტატისტიკურად სარწმუნოდ უფრო ხშირად იყენებდნენ კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდებს.
- საქართველოში პირველად, მულტინომინალური რეგრესიული ანალიზით, განისაზღვრა ინფორმირების წყაროს გავლენის შეფარდებითი რისკი კონტრაცეპციის მეთოდების გამოყენებაზე. კვლევით დადგინდა, რომ ქალები კონტრაცეპციაზე ყველაზე ხშირად მეგობრებიდან არიან ინფორმირებული, თუმცა მათგან მიღებულ ინფორმაციის არ გააჩნია სტატისტიკურად სარწმუნო გავლენა კონტრაცეპციის რომელიმე მეთოდის გამოყენებაზე. კონტრაცეპციის გამოყენება სტატისტიკურად სარწმუნოდ ასოცირდებოდა მხოლოდ ექიმისგან და ქმარი/პარტნიორისგან მიღებულ ინფორმაციასთან.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ კვლევით დადგენილი დემოგრაფიული, სოციალური და ეკონომიკური რისკის ფაქტორების გათვალისწინება დაეხმარება ჯანდაცვის მესვეურებს იმ სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირებაში, რომლებიც არიან დაუგეგმავი ორსულობების, ხელოვნური აბორტების, კონტრაცეპციის დაბალი სიხშირით გამოყენების რისკის ქვეშ, კერძოდ, სოფლად მაცხოვრებელი, მაღალი ასაკის, დაბალი განათლების დონის, დაბალი

ეკონომიკური შესაძლებლობის, ეროვნული უმცირესობების და ორ და მეტ შვილიანი ქალები.

ექიმებისგან კონტრაცეპციული საშუალებების შესახებ კვალიფიციური ინფორმაციის მიღების ნაკლებობა, მათ მიერ ტრადიციული მეთოდების პრომოცირება გამოწვევის წინაშე აყენებს ჯანდაცვის პროვადერებს. საჭიროა სამედიცინო სფეროს პროფესიონალებმა ახალი ეფექტური კონტრაცეპციის მეთოდების კლინიკაში ინტეგრაციით, კონსულტირების გაუმჯობესებით, გაზარდონ ქალების კონტრაცეპციაზე გათვითცნობიერება, რათა ქალებმა გააკეთონ კარგად ინფორმირებული არჩევანი მაღალ ეფექტური კონტრაცეპციის გამოყენებაზე. ეს ხელს შეუწყობს მაღალეფექტური კონტრაცეპციის გამოყენების გაზრდას, შეამცირებს დაუგეგმავი ორსულობების და მასთან ასოცირებულ ხელოვნური აბორტების რაოდენობას.

გამოქვეყნებული შრომების სია

1. Termination of unplanned pregnancy and prior usage of contraception in Republic of Georgia, Article in *Giornale Italiano di Ostetricia e Ginecologia* 36(6):524-526. November 2014.
2. Nato Pitskhelauri, George Lobzhanidze, Mariam Balakhadze, Tamar Chochua, Tamar Japaridze, Nino Chikhladze, Tamar Lobjanidze *International Journal of Scientific Research*, Vol : 4, Issue : 7 July 2015 - See more at:
<http://www.worldwidejournals.com/ijsr/articles.php?val=NTk2OA==&b1=641&k=161#sthash.5qXu8lsd.dpuf>.
3. Japaridze T, Kristesashvili J, Imnadze P. Influence of sources of information on contraception use in Georgia. *Georgian medical news*, 2015; No 11 (248): 16-20.
4. Japaridze T, Kristesashvili J. "Unintended Pregnancies, Their Outcome And Prior Usage Of Contraception In Georgia", *Iranian Journal of Public Health*. Accepted 17.01.2016.
5. Japaridze T, Kristesashvili J, Imnadze P. Socio-demographic characteristics of different modern contraceptive users in Georgia. *Actual Topics on Women's Health*. 2016; No 8.: 32-41.
6. Japaridze T, Kristesashvili J, Imnadze P. Influence of area of residence on contraception use of different socio-economic characteristics women in Georgia. *Caucasus Journal of Health Sciences and Public Health*. *Caucasus Journal of Health Sciences and Public Health*, Volume 1, Issue 1, June 2016.

ნაშრომის აპრობაცია

- ✓ ნაშრომის ფრაგმენტების აპრობაცია განხორციელდა თსუ მედიცინის ფაკულტეტის კოლოქვიუმებზე (2013, 2014 წწ).
- ✓ ადამიანის რეპროდუქტოლოგიის მე-16 საერთაშორისო კონგრესი, The International Academy of Human Reproduction, 16th congress on human reproduction, Berlin, Germany, 18/21 March, 2015.
- ✓ „Hurtigruten“ Bodø-Tromsø, კონფერენცია, აპრილი 2014
- ✓ „Lessons from the Georgia Research Training Program“. კონფერენცია. New York University. Tbilisi. სექტემბერი, 2014.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. დაუგეგმავი ორსულობები

როდესაც ქალს არ სურს მეტი შვილის ყოლა ან სურს მოგვიანებით, არ იყენებს ან არაეფექტურად იყენებს კონტრაცეპციას ან ძალადობრივი სქესობრივი კავშირი ჰქონდა, დგება დაუგეგმავი ორსულობა, რომელიც ხელოვნური აბორტით ან არასასურველი შობადობით მთავრდება. დაუგეგმავი ორსულობა არასასურველია, თუ ქალს არ სურს პირველი ან მომდევნო შვილის გაჩენა ან არადროულია, როცა ორსულობა უფრო ადრე დგება, ვიდრე ის სასურველი იყო^{26, 27}. დაუგეგმავი ორსულობა არის ძირითადი კონცეფცია, რომელიც გამოიყენება პოპულაციის ფერტილობაზე, ოჯახის დაგეგმვასა (შობადობის კონტროლი) და კონტრაცეპციაზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის უკეთესად აღსაქმელად^{28, 29}. დაუგეგმავი ორსულობები, ძირითადად, დგება კონტრაცეპციის გამოუყენებლობის, არაეფექტური კონტრაცეპციის გამოყენების ან ეფექტური კონტრაცეპციის არასწორი ან არათანმიმდევრული გამოყენების შედეგად³⁰. დაუგეგმავი ორსულობისას ქალები ხშირად მიმართავენ ხელოვნურ აბორტს ან არასასურველი ორსულობა მთავრდება არასასურველი ბავშვის დაბადებით. მაგალითად, აშშ-ში, სადაც დაუგეგმავი ორსულობების ნახევარი მშობიარობით მთავრდება მშობიარობების 37% დაუგეგმავი იყო³¹.

დაუგეგმავი ორსულობები ასოცირდება როგორც დედის და ახალშობილის სხვადასხვა პრობლემების რისკის მატებასთან, ასევე მათი ჯანმრთელობის უარყოფით გამოსავალთან. ის შეიძლება გართულდეს ნაადრევი მშობიარობით და ნეგატიურად იმოქმედოს ბავშვის ფიზიკურ და მენტალურ ჯანმრთელობაზე^{2, 32, 33}. დაუგეგმავი ორსულობისას, დედა, ჩასახვის პერიოდში, ორსულობას ოპტიმალური ჯანმრთელობით ვერ ხვდება. მან შეიძლება დააყოვნოს პრენატალური მეთვალყურეობა, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მისი და მისი შვილის ჯანმრთელობაზე³⁴. მნიშვნელოვანია, რომ რეპროდუქციული ასაკის ყველა ქალმა ორსულობამდე ჯანმრთელი წესით იცხოვროს, მიიღოს ფოლიუმის მჟავა, შეინარჩუნოს სხეულის ნორმალური წონა ჯანსაღი კვებით, რეგულარულად შეასრულოს ფიზიკური აქტივობები, შეწყვიტოს თამბაქოს,

ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება, ჩაიტაროს ქრონიკული დაავადებების სკრინინგი ჯანდაცვის სისტემის წარმომადგენლებთან, რათა განახორციელოს მათი შემდგომი სწორი მართვა, საჭიროა მოახდინოს ორსულობის სწორად დაგეგმვა ასაკთან მიმართებაში და საჭიროების შემთხვევაში სასურველი ორსულობის გადასავადებლად მიიღოს კონტრაცეპტივები სწორად და უწყვეტად. დაუგეგმავი ორსულობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, რამდენადაც იგი პირდაპირ კავშირშია დამატებით სამედიცინო და სოციალური მომსახურების ხარჯებთან და ასევე, ორსულ ქალს და მის ოჯახს მნიშვნელოვან ემოციურ სტრესს აყენებს³⁵. ამასთან, თუ დედა მოზარდია, მათი შვილები მეტ პრობლემებს ხვდებიან ცხოვრებაში, მათ აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები, ქცევითი პრობლემები და დაბალი აკადემიური მაჩვენებლები³⁶.

ზოგიერთი კვლევის თანახმად, ასეთი ორსულობის უარყოფითი ზეგავლენა ახალშობილის ჯანმრთელობაზე უფრო უკავშირდება დედის მანამდე არსებულ სოციო-ეკონომიკურ მდგომარეობას ვიდრე თვით ორსულობის დაგეგმვას³⁷. დაუგეგმავ ორსულობას დედის დეპრესიის განვითარებაშიც დიდი წვლილი შეაქვს³⁸. ამიტომაც მრავალი ქვეყნის ჯანდაცვის პოლიტიკის მიზანია დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობის შემცირება^{39,40}.

დაუგეგმავი ორსულობები გლობალური პრობლემაა მსოფლიოს მასშტაბით. 2008 წელს 210,9 მილიონი ორსულობიდან 42% დაუგეგმავი იყო. 1995 წლიდან 2008 წლამდე დაუგეგმავი ორსულობების კოეფიციენტი დაიკლო 20%-ით, 69-დან 55-მდე 1000 ქალზე. კლება ძირითადად შეიმჩნეოდა განვითარებულ ქვეყნებში: აქ ადგილი ჰქონდა დაუგეგმავი ორსულობების კოეფიციენტის 29%-იანი შემცირებას 59-დან 42-მდე 1000 ქალზე. განვითარებად ქვეყნებში აღინიშნა ამ კოეფიციენტის 20%-იანი შემცირება 71-დან 57-მდე 1000 ქალზე. დაუგეგმავი ორსულობების მაღალი კოეფიციენტი დაფიქსირდა აფრიკაში, ხოლო დაბალი აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში. ჩრდილოეთ ამერიკა იყო რეგიონი, სადაც დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობა ამ პერიოდში არ შემცირებულა⁴¹.

აშშ-ში დაუგეგმავი ორსულობების პროცენტმა მცირედ მოიმატა 2001 წლიდან 2008 წლამდე (48%-დან 51%-მდე), მაგრამ 2011 წლისთვის შემცირდა 45 %-მდე ⁴². 2008 წლისთვის აღინიშნა 54 დაუგეგმავი ორსულობა 15-44 წლის 1000 ქალზე, ხოლო 2011 წელს - 45 დაუგეგმავი ორსულობა 1000 ქალზე, რაც 18%-იან შემცირებაზე მიუთითებს. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია 1981 წლიდან 2011წლამდე⁴².

2008 წლისთვის აშშ-ში ორსულობების დაახლოებით ნახევარი (3,4 მილიონი - 51%) 6,6 მილიონი ორსულობიდან, ხოლო 2011 წელს - 45% ანუ 2,8 მილიონი 6,1 მილიონი ორსულობიდან იყო დაუგეგმავი. დაუგეგმავი იყო ორსულობების არა ნაკლებ 36%-სა ყველა შტატში, ხოლო ნახევარზე მეტი - 28 შტატში და კოლუმბიის ოლქში. ისინი განსაკუთრებით მაღალი იყო სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და მჭიდროდ დასახლებულ შტატებში ⁴³ . ასევე აღსანიშნავია, რომ დაუგეგმავი ორსულობები მნიშვნელოვნად მეტია აშშ-ში ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში ⁴¹.

საქართველოს 2010 წლის ქალთა რეპროდუქციული კვლევის თანახმად, ქალების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მათი ორსულობა დაგეგმილი იყო, ხოლო ქალების 36%-მა განაცხადა, რომ ორსულობა დაუგეგმავი იყო: მათ შორის 11% - არადროული და 26% -არასასურველი⁴⁴. ეს მაჩვენებელი ნაკლებია 1999 და 2005 წლებში არსებულ მაჩვენებლებზე, რომლებიც შეადგენდა 59%-ს და 51%-ს შესაბამისად ⁴⁵ , ⁴⁶ . არადროული ორსულობები წარმოადგენდა დაუგეგმავი ორსულობების უფრო დიდ ნაწილს 2010 წელს, ვიდრე წინა კვლევებისას დაფიქსირდა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ამჟამად უფრო მეტ ქალს ურჩევნია ორსულობის გადავადება, ვიდრე საერთოდ უარის თქმა შვილზე. ამასთან, თითქმის ყველა ქალმა (96%), რომლის უკანასკნელი ორსულობა დასრულდა ხელოვნური აბორტით, განაცხადა, რომ ორსულობა იყო დაუგეგმავი.

დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობა განსხვავდება როგორც ქვეყნების, ისე რეგიონების დონეზე. მაგალითად, ირანის სხვადასხვა რეგიონებში ჩატარებული კვლევების თანახმად დაუგეგმავი ორსულობების პროცენტი განსხვავდება, თუ მთლიანად ირანში იგი 22%-ია, არდებილში 61%-ს აღწევს^{47,48,49}.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის სპეციფიურობიდან გამომდინარე, დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობაზე და გავრცელებაზე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალის დემოგრაფიული, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური ფაქტორები: ქალის საცხოვრებელი, ეთნიკური წარმომავლება, ასაკი, რელიგიური კუთვნილება, ქალის განათლების დონე, ცოცხალი შვილების რაოდენობა, ქალის შემოსავალი და სხვა. ეს განსხვავებები აისახება როგორც თითოეული ქვეყნის, ისე რეგიონების დონეზე^{50,51,52}.

მაგალითად, აშშ-ში დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობა მეტია ახალგაზრდა ასაკის ქალებში და კლებულობს ასაკის მატებასთან ერთად. მისი ყველაზე მაღალი სიხშირე 20-24 წლის ასაკის ქალებში აღინიშნა (2008 წელს 104 -1000 ქალზე, 2011 წელს 81 1000 ქალზე). ეს არცაა გასაკვირი, რადგან ამ ასაკში ქალები გამოირჩევიან მაღალი ნაყოფიერებით, ხდებიან სქესობრივად აქტიურები, მაგრამ ჩვეულებრივ ურჩევენიათ ორსულობის გადავადება, თუმცა ძალიან ახალგაზრდები არიან, რომ მიმართონ სტერილიზაციას. ამ ასაკობრივ კატეგორიაში ქალების 70% დაუგეგმავი ორსულობის რისკის ქვეშაა. ეს რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება 30 და მეტი წლის ასაკობრივ კატეგორიაში, რადგან ქალები ან მათი პარტნიორები ხშირად მიმართავენ სტერილიზაციას⁴².

1980 წლიდან აშშ-ში აღინიშნება დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობის კლება. 2006 წელს ორსულობების 49% იყო დაუგეგმავი, რაც მცირედ აღემატებოდა 2001 წლის მაჩვენებელს - 48%-ს. 19 წლამდე ასაკის ქალებში 5-დან 4 ორსულობა დაუგეგმავი იყო, ხოლო 15 წლამდე - 98%. 2001 წლიდან და 2006 წლამდე 15-17 წლის ასაკის ქალებში დაუგეგმავი ორსულობები შემცირდა 89%-დან 79%-მდე, ხოლო გაიზარდა 18-19 წლის ქალებში 79%-დან 83%-მდე და 20-24 წლის ასაკის ქალებში - 59%-დან 64%-მდე⁵³. 2008-დან 2011 წლამდე დაუგეგმავი ორსულობები 20%-ით შემცირდა 18-19 წლის ასაკის ქალებში.

დიდ ბრიტანეთში სადაც დაუგეგმავია 6-დან 1 ორსულობა, 16-19 წლის ასაკის ქალებში ეს მაჩვენებელი 21,2%-ს შეადგენს, დაუგეგმავი ორსულობის რისკ ფაქტორებს

წარმოადგენენ: სქესობრივი კავშირი 16 წლამდე, დაბალი განათლების დონე, პარტნიორისგან ცალკე ცხოვრება⁵⁴.

ტანზანიის სოფლებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობა მეტი იყო ახალგაზრდა (<20 წლის) ასაკის და მარტოხელა ქალებში, ისევე როგორც კენიაში ბარაკებში მაცხოვრებელ დაბალი ასაკის ქალებში⁵⁵. ინდოეთში არადროული ორსულობები უფრო გავრცელებული იყო ახალგაზრდა ქალებში, არასასურველი ორსულობები კი - 35 წელზე მეტ ასაკში⁵⁶.

ჰარარეში (ზიმბაბვე) დაუგეგმავი ორსულობის მეტი რისკი ჰქონდათ ქალებს 19 წლამდე და 35 წლის ზემოთ⁵⁷. ტაილანდში ახალგაზრდა ქალებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დაუგეგმავი ორსულობები ასოცირდებოდა დაბალ ასაკთან და სტუდენტობის პერიოდთან⁵⁸.

მსგავსი მონაცემები დაფიქსირდა სხვა კვლევებშიც ახალგაზრდა ქალებს, სოციო-დემოგრაფიული ფაქტორების გავლენისა და კონტრაცეპციის არასრულფასოვანი მოხმარების გამო მეტი რისკი ჰქონდათ დაუგეგმავი ორსულობის მაღალი ასაკის ქალებთან შედარებით^{59,60,61}.

აშშ-ში დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობა მაღალია ღარიბ და დაბალი შემოსავლის მქონე, 18-24 წლის ქალებში, ასევე ქალებში, რომლებიც პარტნიორისგან ცალკე ცხოვრობენ და უმცირესობის წარმომადგენლებში. დაუგეგმავი ორსულობების დონე მიისწრაფვის დაკლებისკენ მაღალი შემოსავლის მქონე, თეთრკანიან, კოლეჯის განათლების მქონე და გათხოვილ ქალებში. მაგალითად, 2011 წელს დაუგეგმავი ორსულობების კოეფიციენტი მაღალი შემოსავლების მქონე ქალებში ნაკლები იყო ნაციონალურ დონეზე (18 vs 45 1000 ქალზე)⁶².

2001 წლიდან 2008 წლამდე დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობამ მოიმატა ღარიბი და დაბალი შემოსავლის მქონე ქალებში⁴². აშშ-ში 1981 წლიდან 30 წლიანი პერიოდის მატების შემდეგ დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობამ 2008 წლიდან ღარიბ ქალებში შემცირება დაიწყო, მაშინ როცა ამავე პერიოდში მაღალი შემოსავლის

მქონე ქალებში მათი რაოდენობა მუდმივად მცირდებოდა. 2008 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ქალების დაუგეგმავი ორსულობების კოეფიციენტი შეადგინა 137 15-44 წლის 1000 ქალზე, ხოლო 2011 წელს 112 - 1000 ქალზე, აღინიშნა 18%-იანი შემცირება 3 წლიან პერიოდში. მაღალი შემოსავლების მქონე ქალებში 20%-იანი შემცირება დაფიქსირდა 2008 წლიდან 2011 წლამდე ^{42, 62}. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ქალების დაუგეგმავი ორსულობების კოეფიციენტი 5-ჯერ აღემატებოდა მაღალი შემოსავლის მქონე ქალების მაჩვენებელს (2011 წელს - 20/1000 ქალზე, 2008 წელს - 26/1000 ქალზე)^{42, 62}.

ჩილეში დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე 25 წლამდე ასაკის ქალებს უფრო მეტი ალბათობა აქვთ ჰქონდეთ დაუგეგმავი ორსულობა, ვიდრე მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე ქალებს⁶³.

ქალის ეკონომიკურ შესაძლებლობასთან ერთად განათლების დონე დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობის ერთ-ერთი განმსაზღვრელია. მრავალი კვლევა აჩვენებს ქალის განათლების დონის სარწმუნო ასოცირებას დაუგეგმავი ორსულობების დონესთან. უმეტესად, ქალს მაღალი განათლების დონით და მაღალი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობით ნაკლები ალბათობა აქვს, რომ ჰქონდეს დაუგეგმავი ორსულობა^{64, 65, 66}.

აშშ-ში არასრული საშუალო განათლების მქონე ქალებს ჰქონდათ ყველაზე მაღალი დაუგეგმავი ორსულობის კოეფიციენტი ყველა სხვა დონის განათლებასთან მიმართებაში (73 1000 15-44 წლის ქალზე). რაც უფრო მაღალი იყო განათლების დონე მით უფრო ნაკლები იყო დაუგეგმავი ორსულობის კოეფიციენტი ⁶².

ინგლისში, 2010-2012 წლების პერიოდში დაუგეგმავი ორსულობების მაღალი სიხშირე აღინიშნა დაბალი ზოგადი განათლების მქონე ქალებში, დაბალი სქესობრივი განათლების მქონე ქალებში და მათში ვისაც სქესობრივი განათლება მიღებული ჰქონდა არასასკოლო წყაროებიდან ⁵⁴.

ინდოეთში, სადაც არადროული ორსულობები უფრო გავრცელებულია ახალგაზრდა ქალებში, არასასურველი ორსულობები - 35 წელზე უფროს ასაკში,

არადროული ორსულობების რაოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლები იყო მაღალი განათლების დონის მქონე ქალებში⁵⁶. ასეთივე შედეგები აღინიშნა ნიგერიაში ჩატარებული კვლევით, განათლების მაღალი დონე ამცირებდა დაუგეგმავი ორსულობების რისკს⁶⁷.

დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობაზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, გავლენას ახდენს ქალის ეთნიკური წარმომავლობაც^{68,69}. მაგალითად, აშშ-ში შავკანიან ქალებს აქვთ ყველაზე მაღალი დაუგეგმავი ორსულობების დონე, 79 - 1000 15-44 წლის ქალზე. ეს მაჩვენებელი თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე არაესპანური წარმოშობის თეთრკანიანებში (33 - 1000 ქალზე)^{62,70}.

დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობაზე ქალის ეთნიკურ წარმომავლობასთან ერთად რელიგიურ მრწამსს აქვს გავლენა. კულტურულ-ტრადიციული და რელიგიური წესებიდან გამომდინარე, სქესობრივ-რეპროდუქციულ ქცევებთან დაკავშირებით ისინი განსხვავებული რისკის ქვეშ დგებიან. მაგალითადად, აშშ-ში დაუგეგმავი ორსულობების და მშობიარობების კოეფიციენტი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებში ორჯერ მეტი იყო, ვიდრე თეთრკანიანებში. შავკანიან ქალებს მეტი დაუგეგმავი ორსულობა ჰქონდათ, ხოლო ესპანელებს - დაუგეგმავი მშობიარობა⁴².

არამორწმუნე ქალებში დაუგეგმავი ორსულობები მეტი იყო, კათოლიკებს და პროტესტანტებს დაუგეგმავი ორსულობის ერთნაირი კოეფიციენტი აღენიშნათ. თუმცა დაუგეგმავი ორსულობის ხელოვნური აბორტით დასრულება კათოლიკებში უფრო მეტი იყო ვიდრე სხვა რელიგიურ კუთვნილებებში⁴². ნეპალში ჩატარებული კვლევით ქალის რელიგიური კუთვნილება მნიშვნელოვანი პრედიქტორი იყო დაუგეგმავი ორსულობების, ცოცხალი შვილების რაოდენობასთან ერთად⁶⁵.

აღსანიშნავია, რომ დაუგეგმავ ორსულობებზე გავლენა აქვს ქალის საცხოვრებელს. ნაირობში (კენიაში) ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დაუგეგმავი ორსულობები ბარაკებში მცხოვრებ ქალებში ნაკლები იყო, არა ბარაკებში მცხოვრებლებთან შედარებით. 15-19 წლის ასაკის, გაუთხოვარ ქალებს უფროსი ასაკის ქალებთან შედარებით მეტად ჰქონდათ დაუგეგმავი ორსულობა. ხოლო საცხოვრებლის

მიხედვით დაუგეგმავი ორსულობების დეტერმინანტები განსხვავდებოდნენ. ბარაკებში მაცხოვრებლებზე გავლენა ჰქონდა ასაკს, შობადობის მაჩვენებელს და ქორწინების სტატუსს, ხოლო არაბარაკებში მაცხოვრებლებში - ქორწინების სტატუსს და ეთნიკურობას¹⁵.

ირანში (ხორამაბადში) ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ორსულობა დაუგეგმავი იყო 25,3%-ში, მშობიარობების რაოდენობა, ორსულობის გადავადების სურვილი, ოჯახის შემოსავალი და ცოცხალი ბიჭების რაოდენობა განსაზღვრავდა დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობას⁷¹.

ამგვარად, დაუგეგმავი ორსულობები მნიშვნელოვანი გლობალური პრობლემაა, ხოლო მათი რაოდენობა და მასთან ასოცირებული რისკის ფაქტორები განსხვავდება ქვეყნების და რეგიონების მიხედვით.

1.2. ხელოვნური აბორტები

აბორტი (ლათ. abortus) ეწოდება ორსულობის ხელოვნურად ნაადრევ შეწყვეტას. ის, ბევრ ქვეყანაში, დასაშვებია განხორციელდეს სათანადო სამედიცინო დაწესებულებაში, ორსულობის 12 კვირის ვადაში, სპეციალური ჩვენებით - 22 კვირამდე, ხოლო სამედიცინო ჩვენებით და ქალის თანხმობით - ორსულობის ვადის მიუხედავად. ხელოვნური აბორტი არის პროცედურა, რომელიც ტარდება ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის მიზნით მედიკამენტური საშუალებების ან ქირურგიული ინსტრუმენტების გამოყენებით. მედიკამენტური აბორტის დროს ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა მედიკამენტური საშუალებების გამოყენებით ხდება, ხოლო ქირურგიული აბორტის დროს - ქირურგიული ჩარევის გზით. ვაკუუმ-ასპირაცია არის ქირურგიული აბორტის მეთოდი, რომლის დროს საშვილოსნოს ღრუს შიგთავსის ევაკუაცია პლასტიკური ან მეტალის ასპირაციული კანულით ხდება, რომელიც

ვაკუუმის წყაროსთან არის დაკავშირებული; არსებობს ვაკუუმ-ასპირაციის ელექტრო და მანუალური მეთოდები: მანუალური ვაკუუმ ასპირაციის დროს ვაკუუმი იქმნება ხელით მოქმედებაში მოყვანილი პლასტიკური ასპირატორით ან შპრიცით, რომლის მოცულობა არის 60 მლ. არსებული ასპირატორები გათვლილია სხვადასხვა ზომის (4-12 მმ დიამეტრის) კანულის გამოყენებაზე; პროცედურისთვის კანულას სწორად შესარჩევად საჭიროა გესტაციური ვადის და საშვილოსნოს ყელის დილატაციის ხარისხის გათვალისწინება. ელექტრო ვაკუუმ-ასპირაციის დროს გამოიყენება ელექტრო ვაკუუმის ტუმბო/ელექტრო შემწოვი, რომელიც გათვლილია სხვადასხვა ზომის პლასტიკურ კანულაზე, 12-16 მმ დიამეტრის დიაპაზონით. დილატაცია და კიურეტაჟი არის მექანიკური გამაფართოებლების ან ფარმაკოლოგიური საშუალებებით საშვილოსნოს ყელის გაფართოებისა და ბასრი მეტალის კიურეტის გამოყენებით საშვილოსნოს კედლების გამოფხეკის პროცედურა. დილატაცია და ევაკუაცია არის საშვილოსნოს ყელის გაფართოება და ჩასახვის პროდუქტის ევაკუაცია ელექტრო ვაკუუმ-ასპირაციითა და აბორტკანგის მეშვეობით^{72,73}.

იქ, სადაც კანონი აბორტის შესახებ შეზღუდვებს აწესებს, უსაფრთხო აბორტი არ არის ხელმისაწვდომი ან დაბალი ხარისხისაა, ქალები თვითონ ცდილობენ ორსულობის შეწყვეტას ან მიმართავენ არასპეციალისტებს, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მათ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს⁷⁴. ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია განსაზღვრავს სახიფათო აბორტს (unsafe), როგორც პროცედურას, რომელიც ტარდება იმ ადამიანის მიერ, რომელსაც არ აქვს შესაბამისი უნარები ან ტარდება გარემოში, სადაც არ არის დაკმაყოფილებული მინიმალური სამედიცინო სტანდარტები ან ორივე ერთად⁷⁵.

სახიფათო აბორტებს ქალის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი დაუყოვნებელი უარყოფითი შედეგები აქვს: მან შეიძლება შეასუსტოს ქალის პროდუქტიულობა, გაზარდოს ეკონომიკური ტვირთი ღარიბ ოჯახში და დატოვოს ბავშვები ობლად დედის სიკვდილის გამო. მომავალში კი შეიძლება ქალის უნაყოფობა გამოიწვიოს, რისთვისაც დასჭირდეს ჯანდაცვის სისტემის მეტი სერვისები. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ხელოვნური აბორტით გამოწვეული გართულებების სიმძიმე შემცირდა. ეს მრავალი მიზეზით შეიძლება იახსნას: გაიზარდა წვდომა მედიკამენტოზურ აბორტზე,

გაფართოვდა პროგრამები, რომლის ფარგლებშიც ხდება პროვაიდერების გადამზადება ვაკუუმასპირაციის კლინიკურ უნარებში და ზოგადად განვითარდა ჯანდაცვის სისტემა. თუმცა მტკიცებულებები ამ ცვლილებების ზეგავლენის შესახებ არასაკმარისია. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში მედიკამენტოზური აბორტი, (ორსულობის შეწყვეტისთვის გამოყენებული კომბინაცია მიფეპრისტონის და მიზოპროსტოლის ან მხოლოდ მიზოპროსტოლი) უფრო მეტად გავრცელებული ხდება ლეგალური, თუ იატაკქვეშა გზებით⁷⁶.

2008 წელს სახიფათო აბორტებს 47000 ქალის სიკვდილი მოჰყვა⁷⁴. სიკვდილიანობა ძირითადად გამოწვეული იყო მძიმე ინფექციებით, სისხლდენით ან ორგანოების დაზიანებით. მსოფლიოში სახიფათო ხელოვნური აბორტებით გამოწვეულმა სიკვდილიანობამ შეადგენა 220/100,000 სახიფათო აბორტის პროცედურაზე. გლობალურად ეს მაჩვენებელი 350-ჯერ მეტი იყო ლეგალურ ხელოვნურ აბორტთან ასოცირებულ სიკვდილიანობაზე, აშშ-ს მაგალითზე, 0,6 სიკვდილი - 100 000 აბორტის პროცედურაზე⁷⁷.

საქართველოში, სადაც აბორტების კეთება კანონით არ იკრძალება, დინამიკაში ხელოვნური აბორტების ჯამობრივმა კოეფიციენტმა დაიკლო (TIAR). ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს აბორტების რაოდენობას, რაც ქალს შეიძლება გაეკეთებინა სიცოცხლის განმავლობაში შობადობის არსებული ასაკობრივი კოეფიციენტის გათვალისწინებით. 1990-იანი წლების შემდეგ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში, TIAR მნიშვნელოვნად გაიზარდა და მიაღწია პიკს - 1997-1999 წლებში 3,7 აბორტს ყოველ ქალზე (AR 125 აბორტი 1000 ქალზე). ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოს მასშტაბით. მომდევნო წლებში ხელოვნური აბორტების რაოდენობამ დაიკლო 3,1 აბორტამდე ყოველ ქალზე (AR 104 აბორტი 1000 ქალზე) 2002-2005 წლებში, ხოლო 2005-2010 წლებში მან მნიშვნელოვნად დაიკლო და შეადგინა 1,6 აბორტი ყოველ ქალზე (AR 56 აბორტი 1000 ქალზე).

აღსანიშნავია, რომ დიდი ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის გამო ქართული მედიცინა მოწყვეტილი იყო დასავლეთის მედიცინას. ამის გამო,

ადრეულ 90-იანებში, სხვა პოსტ საბჭოთა ქვეყნების მსგავსად შობადობის კონტროლის ძირითადი მეთოდი ხელოვნური აბორტი იყო ⁷⁸. იმ პერიოდისთვის ხელოვნური აბორტი არ იყო სტიგმატიზირებული და სამწუხაროდ, ეს ტენდენცია ამჟამადც არ შეცვლილა. „მარქსისტულ“ ან ყოფილ „მარქსისტულ“ ქვეყნებში აბორტების მაღალი პროცენტი კვლავაც ფიქსირდება ⁷⁹. საქართველოს კანონმდებლობით ხელოვნური აბორტის კეთება იყო და ამჟამადც ლეგალურია და კეთდება ქალის სურვილით და მოთხოვნით ორსულობის 12 კვირამდე⁸⁰.

ხელოვნური აბორტები კეთდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, თუმცა ქვეყნების მიხედვით უსაფრთხო და სახიფათო აბორტებს შორის თანაფარდობა მკვეთრად განსხვავებულია.

წელიწადში 210 მილიონი ორსულობა დგება, აქედან 80 მილიონი დაუგეგმავია⁸¹. მსოფლიოში ხუთიდან ერთი ორსულობა ხელოვნური აბორტით მთავრდება, ათიდან ერთი კი - სახიფათო აბორტით. მსოფლიოში დაახლოებით 43,8 მილიონი ორსულობა დამთავრდა ხელოვნური აბორტით ⁸². აქედან 22,2 მილიონი ხელოვნური აბორტი უსაფრთხო იყო, 21,6 მილიონი კი - სახიფათო. მიუხედავად იმისა, რომ სახიფათო აბორტების რაოდენობა გაზრდილია 2003 წლის მონაცემთან, 19,7 მილიონთან, შედარებით, აბორტების კოეფიციენტი კვლავ უცვლელი რჩება და შეადგენს 14 აბორტს 1000 15-44 წლის ასაკის ქალზე. რაოდენობის მატება კოეფიციენტის მატების გარეშე რეპროდუქციული ასაკის პოპულაციის ზრდითაა განპირობებული⁷⁴.

ხელოვნური აბორტების ნახევარი სახიფათო იყო და თითქმის ყველა განვითარებად ქვეყნებში კეთდებოდა (98%)^{82, 83}. განვითარებად ქვეყნებში სახიფათო აბორტების კოეფიციენტი 15-44 წლის ქალებში შეადგენდა 16-ს და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში კი - 27-ს. რეგიონებიდან ყველაზე მაღალი ხელოვნური აბორტების კოეფიციენტი 1000 15-44 წლის ქალზე აღინიშნა ლათინურ ამერიკაში და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში -31, ხოლო მარგინალურად დაბალი აფრიკის რეგიონში - 28. ამ რეგიონებში ძირითადად სახიფათო აბორტები კეთდებოდა. საშუალო რაოდენობით უსაფრთხო აბორტების კოეფიციენტი - 11 აზიის რეგიონში აღინიშნა.

თუმცა ეს მაჩვენებელი მიაღწევდა 19-ს თუ ჩაითვლებოდა მჭიდროდ დასახლებული აღმოსავლეთ აზიის რეგიონის, ვიეტნამის და სინგაპურის მონაცემები, სადაც აბორტები ლეგალურია, კეთდება ქალის მოთხოვნის საფუძველზე, უსაფრთხოა და ხელმისაწვდომი ^{74, 84}.

სუბრეგიონალურ დონეზე კოეფიციენტები გადანაწილდა შემდეგნაირად: აღმოსავლეთ და ცენტრალური აფრიკა - 36, დასავლეთ აფრიკა - 28, სამხრეთ ცენტრალური აზია - 17 და სამხრეთ ამერიკა - 32. სახიფათო აბორტების კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებლების პარალელურად აღინიშნება კონტრაცეპციის დაბალი გამოყენება (<25%) აღმოსავლეთ, შუა და დასავლეთ სუბრეგიონებში, მაშინ როცა კონტრაცეპციის გამოყენება სხვა რეგიონებში 50%-ზე მეტია⁸⁵.

რაც შეეხება მსოფლიოში ხელოვნური აბორტების რაოდენობას და დინამიკას, უნდა აღინიშნოს, რომ 1995 წლიდან 2003 წლამდე მნიშვნელოვანი კლების შემდეგ, 2003-დან და 2008 წლამდე მან შემცირების ტემპი შეანელა ⁸². 1995 წლიდან 2003 წლამდე აბორტების კოეფიციენტი შემცირდა 35-დან 29-მდე და ვირტუალურად შეუცვლელი დარჩა 28 - 2008 წლისთვის ⁸². მსოფლიოს განვითარებად რეგიონებში აბორტების 56% არაკანონიერი იყო, ხოლო განვითარებად რეგიონებში - 6%. განვითარებად რეგიონებში აბორტების რაოდენობა გაიზარდა 1995 წლიდან 2008 წლამდე 78%-დან 86%-მდე, ეს ძირითადად იმის ხარჯზე მოხდა, რომ განვითარებად რეგიონებში მოიმატა მოსახლეობის რაოდენობამ. 2003 წლიდან აბორტების რაოდენობა განვითარებულ მსოფლიოში შემცირდა 600,000-ით და გაიზარდა 2,8 მილიონით განვითარებად ნაწილში. 2008 წელს 6 მილიონი აბორტი გაკეთდა განვითარებულ ქვეყნებში და 38 მილიონი განვითარებად ქვეყნებში. 2008 წელს აღინიშნა განვითარებად ქვეყნებში 29 აბორტი 15-44 წლის ასაკის 1000 ქალზე და 24 - განვითარებულ ქვეყნებში ⁸².

აფრიკაში, სადაც აბორტების უმრავლესობა არალეგალური და სახიფათოა, 2003 წლიდან და 2008 წლამდე აბორტების რაოდენობამ ცვლილება არ განიცადა და კოეფიციენტმა შეადგინა 29 აბორტი რეპროდუქციული ასაკის 1000 ქალზე 2008 წლისთვის. სამხრეთ აფრიკის სუბრეგიონში, ძირითადად სამხრეთ აფრიკის

რესპუბლიკაში, სადაც ხელოვნური აბორტი ლეგალური გახდა 1997 წლიდან, აღინიშნა ყველაზე დაბალი კოეფიციენტი - 15 აბორტი 1000 ქალზე. აღმოსავლეთ აფრიკაში დაფიქსირდა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 38, რასაც მოჰყვება შუა აფრიკა - 36-ით, დასავლეთი აფრიკა 28-ით და ჩრდილოეთ აფრიკა -18-ით ⁸².

აბორტების კოეფიციენტის ყველაზე მაღალი და დაბალი მაჩვენებლები აღინიშნა ევროპაში, სადაც უმრავლეს ქვეყნებში აბორტი ლეგალურია. დასავლეთ ევროპაში მაჩვენებელი 12-ია 1000 ქალზე, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში - 43 1000 ქალზე. მითითებული განსხვავება აიხსნება აღმოსავლეთ ევროპაში კონტრაცეპტივების როგორც დაბალი გავრცელებით და მათი წარუმატებელი გამოყენებით, ასევე კონტრაცეპციის ისეთი ნაკლებად ეფექტური მეთოდების გამოყენებით, როგორცაა კონდომი, შეწყვეტილი სქესობრივი აქტი და რითმული მეთოდი ⁸².

ევროპაში ორსულობების 30% მთავრდება ხელოვნური აბორტით, უფრო მეტად აღმოსავლეთში, და ნაკლებად ევროპის სხვა რეგიონებში. აღმოსავლეთ ევროპაში 90-იანების შუა და ადრეული 2000-იანი წლებიდან აბორტების რაოდენობის მკვეთრი შემცირების შემდეგ, აბორტების რაოდენობა 2003-დან 2008 წლამდე შენარჩუნდა 43 აბორტი 1000 ქალზე დონეზე. დასავლეთ ევროპას, სამხრეთ აფრიკას და ჩრდილოეთ ევროპას ხელოვნური აბორტების ყველაზე დაბალი დონე აქვთ - 12,15 და 17 შესაბამისად.

ლათინურ ამერიკაში 1995 წლიდან და 2003 წლამდე აბორტების კოეფიციენტმა დაიკლო 37-დან 31-მდე 1000 ქალზე, თუმცა 2008 წელს მიაღწია და შენარჩუნდა 32-ზე ⁸². ლათინურ ამერიკაში სუბრეგიონულ დონეზე ხელოვნური აბორტები მერყეობდა 29-დან ცენტრალურ ამერიკაში (მეხიკოს ჩათვლით) 39-მდე კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში. კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში (კუბის ჩათვლით, სადაც აბორტები ძირითადად ლეგალურია) სახიფათო აბორტების უფრო დაბალი პროცენტი იყო (46%), ვიდრე ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში (სადაც აბორტების 100% სახიფათოა) ⁸². აზიაში, 2003 წლიდან 2008 წლამდე პერიოდში აბორტების მაჩვენებელი შენარჩუნებული იყო:

სამხრეთ-ცენტრალურ და დასავლეთ აზიაში 26 აბორტზე 1000 ქალზე და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში - 36-ზე 1000 ქალზე.

2003 წლიდან, ჩინეთში, შემცირების ტენდენციის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ აბორტების შემთხვევებმა მოიმატა. ეს უნდა აიხსნას ქორწინებისგარეშე სქესობრივი კავშირების მატებით და კონტრაცეპციულ სერვისებზე წვდომის შეფერხებით, რაც სწრაფმა ურბანიზაციამ გამოიწვია⁸².

აქვე უნდა ითქვას აბორტის აკრძალვის და შეზღუდვების შესახებ კანონის შესახებ. საყურადღებოა, რომ კანონი აბორტის აკრძალვის შესახებ არ ასოცირდება აბორტების რაოდენობის დაბალ მაჩვენებლებთან. მაგალითად, რეგიონებში, სადაც აბორტები უმეტეს შემთხვევაში არალეგალურია, კერძოდ, აფრიკაში - აბორტების კოეფიციენტი 29/რეპროდუქციული ასაკის 1000 ქალზე, ლათინურ ამერიკაში - 32, ხოლო დასავლეთ ევროპაში, სადაც აბორტი ნებადართულია, ეს მაჩვენებელი შეადგენს 12 -ს 1000 ქალზე. იქ სადაც აბორტები ნებადართულია, აბორტი უსაფრთხოდ კეთდება, ხოლო აკრძალვის რეგიონებში ხშირად ის ქალისთვის არახელსაყრელ გარემოში სრულდება, რაც მისთვის გარკვეული საფრთხის შემცველია.(Sengh 2012). განვითარებულ ქვეყნებში აბორტის შესახებ შედარებით ლიბერალური კანონი ასოცირდება უკანონო აბორტთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის ნაკლებ ნეგატიურ შედეგებთან, ვიდრე ის ძალიან შეზღუდული კანონის პირობებშია^{86, 87}. აფრიკაში აბორტის ლიბერალიზაციის შემდეგ აბორტთან დაკავშირებული სიკვდილიანობა შემცირდა 91%-ით⁸⁶. ნეპალშიც, 2002 წლიდან აბორტის ლეგალიზაციის შემდეგ, თუ 1998 წელს დედის ავადობაში აბორტთან დაკავშირებული ავადობა 54% იყო, 2008-2009 წლებში მხოლოდ 28% შეადგინა^{86,87}. 2008 წლიდან 2015 წლამდე აბორტები ლეგალურად კეთების არეალი კიდევ 12 ქვეყანაში გაფართოვდა: ფიჯი, ჰონგ-კონგი, ინდონეზია, კენია. ლეზოტო, ლუქსემბურგი, მაირიტუსი, მონაკო, რვანდა, სომალია, ესპანეთი და ურუგვაი⁸⁸.

საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ისტორიაში ხელოვნურ აბორტს, შობადობის კონტროლის მნიშვნელობით, დიდი ხნის ისტორია აქვს. საბჭოთა კავშირში, ასევე

საქართველოში, ის ლეგალური გახდა 1920 წლიდან, თუმცა შემდგომ 1936 წლიდან კვლავ აიკრძალა პოპულაციის ზრდაზე ხელშეწყობის მიზნით. ეს გადაწყვეტილება გაუქმდა 1955 წელს⁸⁹.

ყოფილი საბჭოთა კავშირის მიბაძვით, 1950-იანი წლების შუა ხანებში, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე ცოტა ადრე აბორტი დაკანონდა. 1991 წლამდე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი იყო შობადობის კონტროლი აბორტების მეშვეობით. ამ ქვეყნებში, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე აბორტი ადვილად ხელმისაწვდომი იყო, ხოლო ეფექტური კონტრაცეპციული საშუალებები, ნაკლებად მოიპოვებოდა. აბორტთან დაკავშირებით მათ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური კანონმდებლობა ჰქონდათ. ყველა ამ ქვეყანაში, ორი ქვეყნის გამოკლებით, ორსულობის პირველი 12-14 კვირის განმავლობაში აბორტის გაკეთება საკუთარი სურვილით კანონიერი იყო, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო მიზეზების ჩვენებით - 22-25 კვირამდეც. აბორტი მკაცრად იკრძალებოდა მხოლოდ რუმინეთში (სადაც ქალის საკუთარი სურვილით აბორტის გაკეთება აიკრძალა 1966 წელს) და ალბანეთში, სადაც პირველი ლიბერალური კანონი აბორტის შესახებ 1995 წელს მიიღეს. ამჟამად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანას, პოლონეთის გარდა, აბორტთან დაკავშირებით ლიბერალური კანონები აქვთ. ვინაიდან აბორტების კეთება დიდი ხნის განმავლობაში კანონით დაშვებული იყო და ამ რეგიონში ფართოდ გამოიყენებოდა, სოციალური სტიგმა ისე ძლიერად გამოხატული არ იყო, როგორც დასავლეთ ევროპაში. თუმცა, ბოლო დროს, ზოგ ქვეყანაში აბორტის წინააღმდეგ სულ უფრო იმაღლებენ ხმას რელიგიური ლიდერები, ყოფილი კომუნისტები და ნაციონალისტური ორგანიზაციები, რამაც შესაძლოა, საზოგადოების დამოკიდებულება აბორტის მიმართ შეცვალოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აბორტის შემთხვევების შესახებ მონაცემების მოპოვება ნებისმიერ ქვეყანაში რთულია. მონაცემების სიზუსტე როგორც სამედიცინო ინფრასტრუქტურის არსებობასა და ხარისხზეა დამოკიდებული, ისე სამედიცინო დაწესებულებებში და ქვეყნის მასშტაბით აბორტის აღრიცხვის მეთოდებზე,

პროცედურის იურიდიულ სტატუსსა და საზოგადოებრივ კულტურულ ნორმებზე. მაგალითად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, რომელიც სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებში გაკეთებული აბორტების საფუძველზე გამოთვლილი აბორტების ასაკობრივ მაჩვენებლებს ეყრდნობა, აბორტის ჯამობრივი კოეფიციენტი კვლევის მონაცემების მიხედვით მიღებული მონაცემებისგან ძალიან განსხვავდებოდა. 2007-2010 წლებში 0,9 აბორტს შეადგენდა ერთ ქალზე, რაც კვლევაში აღრიცხულ კოეფიციენტზე 44%-ით ნაკლები იყო.

მიზეზები, თუ რატომ მიმართავენ ქალები ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას, გაცილებით რთულია, ვიდრე მხოლოდ იმის თქმა, რომ დაორსულება არ იყო განზრახული. გადაწყვეტილება ხშირად რამდენიმე ფაქტორითაა მოტივირებული. გაუმჯობესებული კონტრაცეპციული მეთოდების გამოყენება, რა თქმა უნდა, ამცირებს დაუგეგმავი ორსულობების და ხელოვნური აბორტების რაოდენობას, მაგრამ მათი ბოლომდე აღმოფხვრა რთულია, რადგან ქალს არ შეუძლია თავისი ცხოვრების ყველა მდგომარეობის განსაზღვრა და კონტროლი⁹⁰.

ქალის სოციო-ეკონომიკური, კულტურალურ და დემოგრაფიული ფაქტორებს, მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ ხელოვნურ აბორტის გაკეთებაზე გადაწყვეტილების მიღებაზე. მაგალითად, ნორვეგიაში, კერძოდ ოსლოში ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ ოსლოში მცხოვრები დაბალი განათლების დონის მქონე ნორვეგიელი ქალები მაღალი განათლების დონის მქონე ქალებთან შედარებით, უფრო ხშირად მიმართავენ ორსულობის ხელოვნური აბორტით შეწყვეტას. მაშინ როცა აბორტს მიმართავენ განათლების მაღალი დონის პაკისტანელი ქალები⁹¹. განათლების დაბალი, საბაზისო დონე ასოცირდებოდა ხელოვნური აბორტების რაოდენობასთან ფინეთსა და განაში^{92,93}. ეთიოპიაში ხელოვნურ აბორტების დეტერმინანტი იყო განათლების მაღალი დონე, დაბალ ასაკთან (<19), ქალის უმუშევრობასთან, ოთხზე მეტი შვილის ყოლასთან, მარტოხელა დედად ყოფნასთან ერთად^{94,95}.

ირანში ჩატარებული კვლევით, რომელიც ძირითადად არარეგალურ აბორტებს იკვლევდა, დადგინდა, რომ ხელოვნურ აბორტებთან ასოცირებული იყო განათლების დონე, ოჯახის შემოსავალი, რელიგიურობა, ეთნიკურობა, შვილების რაოდენობა, ასაკი. ხოლო ყველაზე მტკიცედ დაკავშირებული ფაქტორი იყო ქალის ეკონომიკური მდგომარეობა⁹⁶.

ერთ-ერთ ფაქტორად, რომელიც ასევე გავლენას ახდენს ხელოვნურ აბორტების რისკზე არის ქალის საცხოვრებელი. ეს გავლენა განსხვავებულად აისახება დაუგეგმავი ორსულობების და ხელოვნური აბორტების რაოდენობაზე. მაგალითად, იტალიაში აბორტების რაოდენობა უფრო ნაკლები იყო მოდერნიზებულ რეგიონებში, ვიდრე იქ, სადაც უფრო ტრადიციული ჩვეულებები ჭარბობდნენ⁹⁷.

საქართველოში ერთნაირი რელიგიის და ეთნიკურობის მქონე მოსახლეობის მჭიდრო დასახლებებია. სოფლად და ქალაქად მაცხოვრებლებს აქვთ განსხვავებული შეხედულებები, ტრადიციები და განათლებაზე წვდომა, მათ შორის კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდებზე ინფორმირებაზე⁹⁸.

ასევე მნიშვნელოვანია ქალის ეკონომიკური მდგომარეობის გავლენა ხელოვნური აბორტების რაოდენობაზე. მაგალითად, ინდოეთში მაღალი კასტის, მაღალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის ქალები უფრო ხშირად მიმართავენ ხელოვნურ აბორტს, ვიდრე დაბალი კასტის და დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსის ქალები. განათლების დონე სტატისტიკურად სარწმუნოდ არ ასოცირდებოდა ხელოვნური აბორტების რაოდენობასთან. ხოლო რაც უფრო მეტი შვილი ჰყავდა ქალს, მით მეტი რისკი ჰქონდა გაეკეთებინა ხელოვნური აბორტი⁹⁹. ასევე ნეპალში, ქალის ასაკი და შვილების რაოდენობა ზრდიდა განმეორებით აბორტების რისკს, ისევე როგორც განათლების დაბალი დონე¹⁰⁰.

აშშ-ში ღარიბ ქალებში დაუგეგმავი ორსულობების მაღალი სიხშირე განაპირობებდა ხელოვნური აბორტების (52 - 1000 ქალზე) და დაუგეგმავი შობადობის მაღალ სიხშირეს (70 - 1000 ქალზე). 2008 წელს დაუგეგმავი ორსულობების 40% დამთავრდა ხელოვნური აბორტით, რაც ნაკლები იყო 2001 წლის მაჩვენებელზე - 47%-

ზე. ხელოვნური აბორტების კოეფიციენტი 2008 წელს შეადგენდა 20-ს 15-44 წლის 1000 ქალზე. ღარიბ ქალებში დაუგეგმავი შობადობის მაჩვენებელი 6-ჯერ აღემატება მაღალი შემოსავლის მქონე ქალების მაჩვენებელს. დაუგეგმავი ორსულობის შემთხვევაში მაღალი შემოსავლის მქონე ქალებთან შედარებით ღარიბი და დაბალი შემოსავლის მქონე ქალები უფრო ნაკლებად მიმართავენ ხელოვნურ აბორტს, შესაბამისად მათთან მაღალი იყო დაუგეგმავი შობადობის კოეფიციენტი.

ზოგადად ხელოვნური აბორტები შემცირდა 8%-ით 2000-დან 2008 წლამდე, 21,3 აბორტიდან 19,6 -მდე 15-44 წლის 1000 ქალზე. გამონაკლისი ღარიბი ქალების ჯგუფი იყო, სადაც პირიქით, დაუგეგმავი ორსულობების მატებასთან ერთად აღინიშნა ხელოვნური აბორტების 17,5% -იანი ზრდა 44,4-დან 52,2 აბორტამდე 1000 ქალზე. ანუ ხელოვნური აბორტების აკუმულირება დაბალი ეკონომიკური შეძლების ქალებთან მოხდა¹⁰¹.

განვითარებად ქვეყნებში ღარიბ ქალებს, დაბალი ეკონომიკური შეძლებით, ნაკლები წვდომა აქვთ ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე და უჭირთ ხელოვნური აბორტის გადასახადის გადახდაც, ასევე მათთან ხშირია აბორტის გართულებები.

პაკისტანელი ქალები სიღარიბეს ასახელებდნენ დაუგეგმავი ორსულობის შემთხვევაში ხელოვნურ აბორტზე გადაწყვეტილების მიღების დეტერმინანტად. ისინი ასევე ნაკლებად იყენებდნენ კონტრაცეფციას¹⁰². ნიგერიაში ეკონომიკური მიზეზები ახდენდა გავლენას აბორტის გაკეთებაზე¹⁰³.

სხვა ფაქტორებთან ერთად ქალის ეთნიკური წარმომავლობაც განსაზღვრავს ხელოვნური აბორტების რისკს. მაგალითად, აშშ-ში დაუგეგმავი ორსულობის შემთხვევაში შავკანიანი ქალები უფრო ხშირად მიმართავენ ხელოვნურ აბორტს, ვიდრე სხვა რასობრივი და ეთნიკური წარმომადგენლები ¹⁰¹. ჰოლანდიაში განმეორებით აბორტზე უფრო ხშირად ხვდებიან მიგრანტები კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებიდან და 20 წელზე მეტი ასაკის ქალები ²¹.

ამგვარად, ხელოვნური აბორტების გავრცელება განსხვავებულია ქვეყნების და რეგიონების მიხედვით, განხვავებულია ის რისკ ფაქტორებიც, რომლებიც განაპირობებენ ორსულობის შეწყვეტას: ქალის ასაკი, საცხოვრებელი, განათლების დონე, ეთნიკურობა, რელიგიური მრწამსი, ეკონომიკური მდგომარეობა, ქორწინების სტატუსი, ცოცხალი შვილების რაოდენობა და მათი სქესი და სხვა. დეტერმინანტები სხვადასხვა დონეზე ახდენენ გავლენას მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ქვეყნის ტრადიციებიდან, კულტურული ფასეულობებიდან, და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

1.3. კონტრაცეპციის გამოყენება

ოჯახის დაგეგმვა ნიშნავს, ინდივიდმა და წყვილებმა წინასწარი განსაზღვრით სასურველი შვილების რაოდენობა იყოლიონ, სასურველი შუალედით და სასურველ დროს, რაც კონტრაცეპციის გამოყენებით და უნაყოფობის მკურნალობით მიიღწევა¹⁰⁴. კონტრაცეპცია რეპროდუქციული ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი ასპექტია. კონტრაცეპცია - ჩასახვის თავიდან აცილებაა, რომელიც ქიმიური საშუალებების, წამლების, ბალახების ან რაიმე მოწყობილობების გამოყენებით შეიძლება მოხერხდეს¹⁰⁵.

კონტრაცეპციის გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობას¹⁰⁶, რომელმაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქალის და მისი შვილის ჯანმრთელობაზე მრავალი უარყოფითი შედეგი შეიძლება იქონიოს. 1999 წლის და 2005 წლის საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების შემდგომმა ანალიზმა აჩვენა, რომ კონტრაცეპციის გამოყენებლობა ხელოვნური აბორტების ძირითადი დეტერმინანტი იყო, ხოლო თანამედროვე კონტრაცეპციის გამოყენება დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობას მნიშვნელოვნად ამცირებდა¹⁰⁷. იაკონიაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, კონტრაცეპციის არ გამოყენება მიზეზი იყო 51.2% არადროული ორსულობის და 25,9% არასასურველი ორსულობის, რომლებიც ხელოვნური აბორტით დამთავრდა შესაბამისად 39,5% და 71,1%-ში¹⁰⁸.

ქალი შეიძლება საჭიროებდეს კონტრაცეპციულ სერვისებს და მარაგებს, თუ ის არის 13-44 წლის და აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

1. არის სექსუალურად აქტიური ან როდესმე მაინც ჰქონია სექსობრივი კავშირი;
2. აქვს შვილოსნობის უნარი, რაც გულისხმობს, რომ არც თვითონ და არც მის პარტნიორს არ აქვს გაკეთებული ქირურგიული სტერილიზაცია ან არ აქვს რაიმე მიზეზი, რის გამოც ის უნაყოფო იქნებოდა;
3. მიმდინარე პერიოდში ორსულად არ არის და არც დაურსულებას ცდილობს¹⁰⁹.

თანამედროვე კონტრაცეპციაზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის შემცირება დაუგეგმავი ორსულობის, აბორტების და დაუგეგმავი მშობიარობების აღმოსაფხვრელად ეფექტური გზაა.

მსოფლიოში კონტრაცეპციაზე პოტენციური მოთხოვნა გარკვეულწილად ისევ დაუკმაყოფილებელია. ამ პრობლემის აღმოფხვრას ხელს უშლის პოპულაციის ზრდა და ოჯახის დაგეგმვის სერვისების ნაკლებობა. აფრიკაში რეპროდუქციული ასაკის ქალების 23,2%-ს კონტრაცეპციაზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა აქვს. აზიაში, ლათინურ ამერიკაში და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში, სადაც შედარებით მაღალია კონტრაცეპციის გავრცელება, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა 10,9% და 10,4% -ია შესაბამისად.

მსოფლიოში კონტრაცეპციის გავრცელება 54,8%-დან 1990 წელს 63,3% -მდე 2010 წელს გაიზარდა, ხოლო დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა კონტრაცეპციაზე 15,4%-დან 1990 წელს 12,3%-მდე 2010 წელს შემცირდა. თითქმის ყველგან, გარდა იმ რეგიონებისა, სადაც კონტრაცეპციის გავრცელება 1990 წელს ისედაც მაღალი იყო, კონტრაცეპციის გავრცელება გაიზარდა, ხოლო კონტრაცეპციაზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა 1990 წლიდან 2010 წლამდე შემცირდა, თუმცა განსხვავებული ინტენსივობით სხვადასხვა ქვეყნებს და რეგიონებს შორის. 2010 წელს რეპროდუქციული ასაკის 15-49 წლის 146 მილიონ (130-166 მილიონი) გათხოვილ ქალს კონტრაცეპციაზე მოთხოვნა დაუკმაყოფილებელი ჰქონდა¹¹⁰.

საქართველოში, 2010 წლისთვის პოტენციური მოთხოვნა კონტრაქციაზე გათხოვილ ქალთა თითქმის ორ მესამედს (65%) გააჩნდა, მათ შორის 52% კონტრაქციის რაიმე მეთოდს უკვე იყენებდა, 12%-ში კი მოთხოვნა ჯერ კიდევ დასაკმაყოფილებელი იყო.

მსოფლიოს მასშტაბით თანამედროვე კონტრაქციული საშუალებების მოხმარების ზრდის ტემპი ბოლო წლებში შემცირდა: 1990-1999 წლებში მისი ზრდა 0,6%-ს შეადგენდა წელიწადში, ხოლო 2000-2009 წლებში იგი 0,1 %-მდე შემცირდა. კლების ტემპმა ყველაზე მეტად გამოიხატა აფრიკაში 0,8% -დან 1990-1999 წლებში 0,2%-მდე 2000-2009 წლებში. 225 მილიონ ქალს განვითარებად რეგიონებში კონტრაქციაზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა აქვთ, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი ნაკლებად ეფექტურ ტრადიციულ ოჯახის დაგეგმვის მეთოდებს მეტად იყენებენ ან კონტრაქციის მეთოდებს საერთოდ არ იყენებენ[8]. ამიტომ, რომ დაუგეგმავი ორსულობების 81% განვითარებად ქვეყნებში იმ ქალებზე მოდის, ვისაც კონტრაქციაზე დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა აქვთ.

განვითარებად ქვეყნებში, ქალები, კონტრაქციული მეთოდების გამოყენებლობის მიზეზებად ასახელებენ:

1. კონტრაქციის მეთოდების ლიმიტირებული არჩევანი;
2. ლიმიტირებული წვდომა კონტრაქციაზე, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, პოპულაციის ღარიბ სეგმენტსა და ქორწინების გარეშე კავშირებში;
3. შესაძლო გვერდითი ეფექტების არსებობის შიში;
4. კულტურალური და რელიგიური წინააღმდეგობები;
5. არსებული სერვისების დაბალი ხარისხი;
6. მომხმარებლების და პროვაიდერების სისტემური შეცდომები და ნაკლოვანებები;
7. გენდერული ბარიერები¹¹.

მსოფლიოში კონტრაქციების მოხმარება ათიდან ცხრა შემთხვევაში თანამედროვე კონტრაქციული საშუალებების გამოყენებაზე მოდის. ქალის

სტერილიზაცია ყველაზე გავრცელებული კონტრაცეპციული მეთოდია, რომელსაც 15-დან 49 წლამდე გათხოვილი ქალების 19% იყენებს. ქალის სტერილიზაცია უფრო მეტად ლათინურ ამერიკაში და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებშია გავრცელებული (26%). ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნა დომინიკის რესპუბლიკაში -47 %. 25%-ზე მეტადაა გავრცელებული ბრაზილიაში, ჩინეთში - 29% და ინდოეთში - 36%. საქართველოში მიღების ლიგირება 15-44 წლის ქალების 2,9%-ში გამოიყენება.

მსოფლიოში გავრცელების მიხედვით მეორე ადგილზეა სშს. იგი რეპროდუქციული ასაკის ქალების 14%-ის მიერ გამოიყენება, რომლებიც ქორწინებაში არიან ან სქესობრივი პარტნიორი ჰყავთ. სშს ყველაზე ხშირად აზიაში (18%) გამოიყენება, ყველაზე მაღალი, 40%-ზე მეტი გავრცელება ჩინეთში, კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში და უზბეკისტანში აღინიშნა, ხოლო 30%-დან -40% -მდე - იზრაელში, ყაზახსტანში, ყირგიზსტანში, თურქმენისტანში და ვიეტნამში, 30% - ეგვიპტეში. საქართველოში სშს 15-44 წლის ქალების 12,5% -ის მიერ გამოიყენება.

კონტრაცეპციული აბები გავრცელების მიხედვით მსოფლიოში მესამე ადგილზეა. ორალური კონტრაცეპტივები ყველაზე ეფექტურ ფარმაცოლოგიურ კონტრაცეპტივად ითვლება¹¹². მას 15-დან 49 წლამდე გათხოვილი ქალების 9% იყენებს. ის ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდია. 30%-ზე მეტი გავრცელება აფრიკის 4 ქვეყანაში, აზიის 1 ქვეყანაში, ევროპის 9, ლათინურ ამერიკის 1, კარიბის ზღვის აუზის და ოკეანეთის 1 ქვეყანაში აღინიშნა. ყველაზე მაღალი 40%-ზე მეტად გავრცელებულია ალგერიაში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, საფრანგეთში, მოროკოში, ჰოლანდიაში, პორტუგალიაში და ზიმბაბვეში. საქართველოში კონტრაცეპციული აბები 4%-ში გამოიყენება.

რიგ ქვეყნებში კონტრაცეპციული აბების წილი მთლიან კონტრაცეპციის გამოყენებაში 30%-ზე მეტია, ხოლო რიგ ქვეყნებში ეს წილი ქალის სტერილიზაციაზე და სშს-ზე მოდის. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ქვეყანაში კონტრაცეპციის მომხმარებლებს შორის აბები უფრო პოპულარულია, ვიდრე ქალის სტერილიზაცია და სშს, გლობალურად ისინი მათთან შედარებით მაინც ნაკლებადაა გავრცელებული.

მამაკაცის კონდომი მეოთხე ადგილზეა თანამედროვე კონტრაცეპციის გლობალური მასშტაბით გავრცელებაში. ის იმ წყვილების 8%-ის მიერ გამოიყენება, სადაც ქალი 15-49 წლის ასაკისაა. კონდომების მაღალი გავრცელება - 50% აღინიშნა ჰონგ-კონგში, ჩინეთის ნაწილში და 30% და მეტი - არგენტინაში, ბოტსვანაში, საბერძნეთში, იაპონიაში, რუსეთის ფედერაციაში და ურუგვაიში. საქართველოში მამაკაცის კონდომი 13,6%-ში გამოიყენება.

თანამედროვე კონტრაცეპციის სხვა მეთოდები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონშია პოპულარული. მაგალითად, აღმოსავლეთ აფრიკაში და სამხრეთ აფრიკაში საინექციო კონტრაცეპტივებია მეტად პოპულარული, რაც კონტრაცეპციის გამოყენების 40%-ს შეადგენს.

კონტრაცეპციის ხანმოკლე და შექცევადი მეთოდები უფრო ხშირად გამოიყენება განვითარებულ რეგიონებში, ხოლო ხანგრძლივი მოქმედების და მაღალ ეფექტური კონტრაცეპტივები - განვითარებად რეგიონებში. ამგვარად, განვითარებულ რეგიონებში ყველაზე მეტად აბები (18% გათხოვილი ქალების) და მამაკაცის კონდომებია (18%) გავრცელებული. ეს ორი მეთოდი კონტრაცეპციის გამოყენების ნახევარზე მეტ შემთხვევას ითვლის, მაშინ როცა ქალის სტერილიზაციას და სშს-ს 4-დან ერთზე ნაკლები ქალი იყენებს. ამის საპირისპიროდ, განვითარებად რეგიონებში ქალის სტერილიზაცია (21%) და სშს (15%) არის გავრცელებული, რაც მთლიანი კონტრაცეპციის გამოყენების 57%-ს შეადგენს.

გახანგრძლივებული მოქმედების კონტრაცეპტივების გავრცელება დომინანტურია ჩინეთში, სადაც ადგილობრივი მთავრობის გადაწყვეტილებით, პოპულაციის ზრდის ლიმიტირებისთვის 1979 წლიდან ერთ-შვილიანი ოჯახების თაობაზე კანონი გაეშვა. იმ პერიოდისთვის ეს პროცესი ხელოვნური აბორტებით კონტროლდებოდა, ხოლო 1994 წლიდან - კონტრაცეპციის მოხმარებით¹¹³. 30 წლიანი პერიოდის განმავლობაში ამ ქვეყანას კონტრაცეპციის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს მსოფლიოში. ინდივიდუუმის მიერ კონტრაცეპციის არჩევანის

გაკეთებაზე ერთად გავლენა აქვთ: ოჯახის დაგეგმვის პოლისებს და თვით ინდივიდის გადაწყვეტილებას¹¹⁴.

კონტრაქციის ტრადიციულ მეთოდებს ორსულობისგან დაცვაში ნაკლები ეფექტურობა გააჩნიათ, თუმცა მაინც მაღალი სიხშირით გამოიყენება აფრიკის შუა ნაწილში, დასავლეთ აფრიკაში და დასავლეთ აზიაში, სადაც მათი გამოყენება რეპროდუქციული ასაკის ქალებში 57%, 29% და 33%-ს შეადგენს შესაბამისად. შეწყვეტილი სქესობრივი აქტი ყველაზე მეტად (30% და მეტი) გავრცელებულია ალბანეთში, აზერბაიჯანში, მალტაში და სერბიაში¹¹⁵. შეწყვეტილი სქესობრივი აქტი საქართველოში რეპროდუქციული ასაკის ქალების 11,1%-ის მიერ გამოიყენება.

ირანში, მეტა-ანალიზით ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ დაუგეგმავი ორსულობების გავრცელება 30,6%-ია. ხოლო დაუგეგმავი ორსულობის წინ გამოყენებული კონტრაცეპტივებია: აბები - 27.1%, შეწყვეტილი სქესობრივი აქტი - 38.6%, სშს - 11,4%, საინექციო საშუალებები - 2.8%-ში, ვაზექტომია - 0,28% და არანაირი მეთოდი - 24.5 %-ში¹¹⁶.

საქართველოში, XX საუკუნის 90-წლებიდან კონტრაქციის გამოყენება ძალიან დაბალი იყო და ქართველები, სხვა აზიელი ქალების მსგავსად, ძირითადად კონტრაქციის ტრადიციულ მეთოდებს მიმართავდნენ (შეწყვეტილი სქესობრივი აქტი და რითმი/კალენდარული მეთოდი). საქართველოში ჩატარებულმა 2010 წლის ქალთა რეპროდუქციული ჯანრთელობის კვლევამ აჩვენა, რომ კონტრაქციულ მეთოდებს 15-44 წლის ასაკის ქალების 32% იყენებდა, მათ შორის 21% კონტრაცეპტივებით მარაგდებოდა (დონორთა დაფინანსებული პროგრამების ფარგლებში - კონდომები, სშს, ორალური კონტრაცეპტივები, მილების ლიგაცია და სპერმიციდები). კონტრაცეპციას ქორწინებაში მყოფი ქალების ნახევარზე მეტი (53%) იყენებდა, მათ შორის 35% - კონტრაქციის თანამედროვე მეთოდებს. თანამედროვე კონტრაქციის გამოყენება მკვეთრად გაიზარდა 20%-დან 1999 წელს 35%-მდე 2010 წელს. თანამედროვე მეთოდების გამოყენებამ პირველად გადააჭარბა ტრადიციული მეთოდების გამოყენებას (ამ უკანასკნელთა გამოყენება მნიშვნელოვნად შემცირდა). შედეგად, კონტრაქციის

პრევალენტობის მაჩვენებელი გათხოვილი ქალებისთვის გაიზარდა 41%-დან 1999 წელს 45%-მდე 2005 წელს და 53%-მდე 2010 წელს.

ამჟამად კონტრაცეპციის მომხმარებლების 26% იყენებს კონდომს, 25%-ს - სშს-ს, 21% - შეწყვეტილ სქესობრივ აქტს, 13 % - პერიოდულ თავშეკავებას, 7% - აბებს, 5% - საშვილოსნოს მილების ლიგაციას და 3% სპერმიციდებს. 1999 წლიდან 2010 წლამდე კონდომის გამოყენება წყვილებს შორის 2,5-ჯერ გაიზარდა (6%-დან 14%-მდე), ხოლო სშს-ს გამოყენება - 10%-დან 13%-მდე. ისინი, ბოლო არსებული კვლევის მონაცემებით წყვილებს შორის ყველაზე ხშირად გამოყენებად მეთოდებს წარმოადგენენ. შეწყვეტილი სქესობრივი აქტი და კალენდარული მეთოდი, რომლებიც გამოყენების სიხშირის მხრივ ყველაზე პოპულარული მეთოდები იყო 1999 წელს, მესამე და მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა 2010 წელს. აბების მოხმარება, რაც ჯერ ისევ დაბალია, გაიზარდა 2%-დან 1999 წელს 4%-მდე 2010 წელს, ხოლო მილების ლიგაციის მეთოდის გამოყენება გაიზარდა 2%-დან 3%-მდე (1999,2005,2010).

პირველი მცდელობა ჩაერთოთ ქცევა შობადობის დეტერმინაციის მოდელში იყო შუალედური შობადობის სქემა, წარმოდგენილი რ. ჰილსის, ჯ. სტიკოსის, კ. ბეკის მიერ. "ოჯახური დაგეგმის" ფაქტორებს შორის წარმოდგენილია ბავშვთა ყოლის განწყობა და კონტრაცეპციის გამოყენება. 50-იანი წლების ბოლოს რ. ფრიდმენმა წარმოადგინა შობადობის ფაქტორების სქემა "შუალედური სოციალურ-ფსიქოლოგიური დეტერმინანტები". მის სქემაზე არის რეპროდუქციული ქცევის ბლოკი, უფრო ზუსტად მისი დისპოზიციის ბლოკი¹⁷. აქედან გამომდინარე მნიშვნელობას იძენს სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა ფაქტორების გავლენის განსაზღვრა, როგორც შობადობის, ისე ორსულობის გამოსავლის პროგნოზირებასა და კონტრაცეპციის გამოყენებაზე.

ფაქტორების ზეგავლენის მაგალითებად სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების შედეგები შეიძლება მოვიყვანოთ. მაგალითად, ნიგერიაში, ქალებმა, რომლებსაც დაუგეგმავი ორსულობა ჰქონდათ, აღნიშნეს, რომ როცა დაურსულდნენ კონტრაცეპციას საერთოდ არ იყენებდნენ, ხოლო აქედან 44%-მა აღნიშნა, რომ ოჯახის

დაგეგმვის საკითხებზე ინფორმირებულნი არ იყვნენ¹¹⁸. ასევე ეგვიპტეში დაუგეგმავი ორსულობების მქონე ქალების უმეტესი ნაწილი საერთოდ არ იყენებდა კონტრაცეპციას, ან მათ წარუმატებელ გამოყენებას აღნიშნავდნენ¹¹⁹. ირანში დაუგეგმავი ორსულობის წინ, ქალები არაეფექტურ ტრადიციულ კონტრაცეპციულ მეთოდებს იყენებდნენ, ხშირად შეწყვეტილ სქესობრივ აქტს¹²⁰. კონტრაცეპციის გამოყენება განათლების დონის ზრდასთან ერთად მატულობდა¹²¹.

რაც შეეხება რელიგიური ფაქტორის გავლენას, აშშ-ში ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ რელიგიური კუთვნილება მხოლოდ თინეიჯერულ ასაკში განსაზღვრავდა კონტრაცეპციის არ გამოყენებას, ხოლო 20-44 წლის ასაკის ქალების მიერ კონტრაცეპციის გამოყენებაზე გავლენა არ ჰქონდა¹²².

ამგვარად, კონტრაცეპციის გავრცელება ქვეყნების და რეგიონების მიხედვით განსხვავებულია. რისკ ფაქტორები: ქალის ასაკი, საცხოვრებელი, განათლების დონე, ეთნიკურობა, რელიგიური მრწამსი, ეკონომიკური მდგომარეობა, ქორწინების სტატუსი, ცოცხალი შვილების რაოდენობა სხვადასხვა დონეზე ახდენენ გავლენას კონტრაცეპციის გამოყენებაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტრადიციებიდან, კულტურული ფასეულობებიდან, და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

1.4. კონტრაცეპციაზე ინფორმირება

კონტრაცეპციის სწორმა და ეფექტურმა გამოყენებამ ქალს შეიძლება თავიდან ააცილოს დაუგეგმავი ორსულობა. ამისთვის საჭიროა, რომ იგი თითოეულ კონტრაცეპციის მეთოდზე გათვითცნობიერებული იყოს ინფორმირების სანდო წყაროებიდან, რათა მან სწორად გააკეთოს არჩევანი მისთვის მისაღებ კონტრაცეპციულ მეთოდზე.

ინფორმაციის მიღება აღნიშნულ საკითხის შესახებ სხვადასხვა სირთულესთან არის დაკავშირებული. ხშირად პირები, რომლებიც ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ,

მაგალითად მშობლები, მასწავლებლები და სამედიცინო პერსონალი არ ფლობენ საჭირო ინფორმაციას კონტრაცეპტივების გამოყენების აუცილებლობის შესახებ, რაც თავის მხრივ პრობლემას ქმნის. პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლად და დაბალ სოციალურ-ეკონომიურ გარემოში.

კონტრაცეპციაზე რელევანტური ინფორმაციის მიწოდება ჯანდაცვის მესვეურების პრეროგატივაა, თუმცა, როგორც კვლევები აჩვენებს ინფორმაციას ქალები ალტერნატიული წყაროებიდანაც ღებულობენ: ტელევიზიიდან, მასმედიიდან, ჟურნალებიდან, გაზეთებიდან, მეგობრებიდან, ნათესავებისგან, მშობლებისგან, ქმრისგან, შეყვარებულისგან, პარტნიორისგან, საგანმანათლებლო სისტემიდან და სხვა²⁴. ექიმის გარდა სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია ხშირად არასრულფასოვანია და მხოლოდ გარკვეულ კონტრაცეფციულ მეთოდებზე უზრუნველყოფს ინფორმაციას. მაგალითად, იბადანის სტუდენტთა გამოკითხვით, გამოირკვა, რომ ისინი ინფორმაციას ძირითადად მასმედიიდან და მეგობრებიდან ღებულობდნენ, ამიტომ მათ ცოდნა თორმეტიდან მხოლოდ სამ მეთოდზე ჰქონდათ, ძირითადად კონდომებზე და შეწყვეტილ სქესობრივ აქტზე¹²³.

განვითარებულ ქვეყნებში, მაგალითად, აშშ-ში ახალგაზრდა ქალები ხშირად ექიმებისგან ან მედდებისგან იღებენ ინფორმაციას¹²⁴,¹²⁵, ხოლო მამაკაცები - მეგობრებისგან. კოლეჯის სტუდენტი აფრიკელი გოგონები, თერკანიანებთან შედარებით ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმაციის მოძიებას უფრო ინტერნეტით ცდილობენ¹²⁶. საინტერესოა ამ საკითხთან დამოკიდებული ცვლილება, თუ ადრეულ პერიოდში კონტრაცეპციაზე ინფორმირების წყაროდ ხშირად სახელდებოდა მშობლები, ამჟამად სტუდენტების ინფორმირების წყარო სულ უფრო მეტად ხდება მედია, პარტნიორები და პროფესიონალები¹²⁷. სექსუალური ჯანმრთელობის საკითხების ვებსაიტებიდან მიღებული ინფორმაცია უზუსტობებს შეიცავს¹²⁸. გამოკითხვები აჩვენებს, რომ ახალგაზრდებს სურთ ინფორმირებულნი იყვნენ ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე¹²⁹.

საყურადღებოა, კულტურული და სოციალური აკრძალვების გავლენა კონტრაცეპციის შესახებ ინფორმირებაზე. ზოგჯერ კულტურული და სოციალური ჩვეულებები უკრძალავს დასაოჯახებელ ახალგაზრდა ქალებს სქესობრივი ცხოვრების დაწყებას, ან საერთოდ სქესობრივ ურთიერთობებზე საუბარს საზოგადოებაში, ოჯახსა და სამედიცინო დაწესებულებებში. ზოგიერთ რეგიონში ჯანდაცვის წარმომადგენლები საკუთარი მორალური პრინციპების გამო უარს ამბობენ, რომ ახალგაზრდები კონტრაცეპტივებით უზრუნველყონ. შედეგად, ახალგაზრდა თაობა თავს არიდებს კონტრაცეპტივების გამოყენებას იმის შიშით, რომ განკითხვისა და დამცირების ობიექტები გახდებიან. პრობლემას კონფიდენციალურობის საკითხიც წარმოადგენს.

მშობლების მიერ სექსუალურ-რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, მათ შორის კონტრაცეფიაზე ინფორმირება ხშირად სტიგმატიზირებულია, განსაკუთრებით სოფლად¹³⁰,¹³¹. მშობლებისგან, ასევე რელიგიური ლიდერებისგან მიღებული ინფორმაცია ასოცირდება სქესობრივი ცხოვრების დაწყების დაყოვნებასთან, ხოლო მეგობრებისგან, ნათესავებისგან და მედიისგან - უფრო ადრეულად დაწყებასთან¹³². ნიგერიაში ჩატარებული გამოკითხვით, მშობლებისთვის უმჯობესი იყო მათი შვილები სკოლაშივე ყოფილიყვნენ ამ საკითხებზე ინფორმირებულნი¹³³. თუმცა ეს დამოკიდებულება ყველა პირობებში ვერ გავრცელდება.

საგანმანათლებლო ღონისძიებები ზრდიან კონტრაცეპციული მეთოდების გამოყენებაზე ცოდნას, ეხმარება ინდივიდებს კარგად ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში და კონტრაცეპციის ეფექტურად გამოყენებაში¹³⁴. მშობიარობისშემდგომი კონსულტირება კონტრაცეპციის შესახებ, განაპირობებს მეტ კონტრაცეპციის მოხმარებას და ნაკლებ დაუგეგმავ ორსულობას¹³⁵. ექიმები ხშირად ქალებს სთავაზობენ სშს-ს¹³⁶.

მნიშვნელოვანია, იმის გათვალისწინება სანდო წყაროებიდან მიღებული ინფორმაციით კონტრაცეპციაზე გათვითცნობიერება ამცირებს დაუგეგმავი ორსულობების რაოდენობას¹³⁷.

თავი 2. მასალა და მეთოდები

2.1. კვლევის ობიექტი:

კვლევისთვის გამოყენებულ იქნა საქართველოში 2010 წლის რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის მონაცემთა ბაზა. კვლევა ჩატარდა საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ეთიკური კომისიის დასკვნის საფუძველზე. ორიგინალი კვლევა იყო ქროს-სექციული ტიპის, რომელშიც გამოყენებული იყო მრავალსაფეხურიანი, სტრატეგიცირებული შერჩევის მეთოდი. იგი გაგრძელდა 2010 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის თებერვლამდე. ინფორმირებული თანხმობის მოპოვების შემდეგ 6292 ქალი, მათი ქორწინების სტატუსის მიუხედავად, რომლებიც ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე სეპარატისტული რეგიონების აფხაზეთისა და ოსეთის გამოკლებით გამოკითხული იქნენ თავიანთ სახლებში.

ჩვენი კვლევისთვის ჩატარდა მონაცემთა ბაზის მეორადი ანალიზი, სადაც გამოყენებულ იქნა ალტერნატიული სტატისტიკური მიდგომები.

2.2. ჩართვის კრიტერიუმები

საწყისი კვლევისთვის ჩართვის კრიტერიუმი იყო 15-44 წლის ასაკი, ხოლო ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, თითოეული სტატისტიკური ანალიზისთვის დამატებითი ჩართვის კრიტერიუმები გამოიყენებოდა. მაგალითად, დაუგეგმავი ორსულობების გავრცელების და მასთან პოტენციურად ასოცირებული ფაქტორების დასადგენად ჩართვის კრიტერიუმი იყო - ქალები, რომლებსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში ჰქონდათ ორსულობა, დაუგეგმავი ორსულობის ხელოვნური აბორტით დამთავრების გავრცელების და მასთან ასოცირებული რისკის ფაქტორების დასადგენად - ქალები, რომელთა ორსულობაც იყო დაუგეგმავი ბოლო 5 წლის განმავლობაში; ხელოვნურ აბორტამდე კონტრაცეპციის გამოყენების დასადგენად - ქალები, რომლებმაც დაუგეგმავი ორსულობა დაასრულეს ხელოვნური აბორტით, ხოლო კონტრაცეპციის

თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენების გავრცელებისთვის - ქალები, რომლებმაც აღნიშნეს ხელოვნურ აბორტამდე კონტრაცეპციის გამოყენება.

სოციო-დემოგრაფიული ფაქტორების გავლენის დასადგენად კონტრაცეპციის ოდესმე გამოყენებაზე დამატებითი ჩართვის კრიტერიუმი იყო ქალები, რომელთაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი.

სოციო-ეკონომიკური ფაქტორების გავლენის დადგენისთვის კონტრაცეპციის თანამედროვე და ტრადიციულ მეთოდებზე სოფლად და ქალაქად დამატებითი ჩართვის კრიტერიუმი იყო ქალები, რომლებიც მიმდინარედ მოიხმარდნენ კონტრაცეპციის მეთოდებს, კერძოდ თანამედროვე და ტრადიციულ მეთოდებს.

კონტრაცეპციის შესახებ ინფორმირების წყაროს და მისი კონტრაცეპციულ მეთოდზე გამოყენების დასაგენად - ქალები, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი და აღნიშნავდნენ კონტრაცეპციის კონკრეტული გამოსაკვლევი მეთოდის გამოყენებას.

ყველა, ვინც ვერ აკმაყოფილებდა ამ კრიტერიუმებს გამორიცხულ იქნენ სტატისტიკური ანალიზიდან.

2.3. ცვლადების შერჩევა

პირველადი კვლევა საშუალებას იძლეოდა მონაცემები მოპოვებული ყოფილიყო პოპულაციის ძირითად მახასიათებლებზე და ჯანდაცვის ინდიკატორებზე. ჩვენი კვლევისთვის თითოეული სტატისტიკური ანალიზისთვის კვლევებიდან მოპოვებულ პასუხებზე დაყრდნობით შეირჩეოდა დამოუკიდებელი ანუ პრედიქტორული და დამოკიდებული თვისებრივი ცვლადები.

დაუგეგმავი ორსულობების, მათი გამოსავლის და ხელოვნური აბორტით დასრულებული დაუგეგმავი ორსულობის წინა პერიოდში კონტრაცეპციის გამოყენებისთვის შეირჩა ოთხი დამოუკიდებელი ცვლადი დაყოფილი კატეგორიებად:

ორსულობის დაგეგმვა: დაუგეგმავი და დაგეგმილი ორსულობა;

ორსულობის გამოსავლის მიხედვით: დაუგეგმავი ორსულობის დასრულება ხელოვნური აბორტით ან ორსულობის პროლონგირება;

კონტრაცეპციის გამოყენება: რაიმე კონტრაცეპციული მეთოდის გამოყენება ან არ გამოყენება;

კონტრაცეპციული მეთოდის გამოყენების მიხედვით: თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენება.

ქალები, რომელსაც არ უნდოდათ ან მოგვიანებით სურდათ დაორსულება მოხვდნენ დაუგეგმავი ორსულობის კატეგორიაში, ხოლო ქალები, რომლებსაც სურდათ დაურსულება ან არ იყვნენ დარწმუნებული თავიანთ გადაწყვეტილებაში - დაგეგმილი ორსულობის კატეგორიაში.

ორსულობის გამოსავლის შესახებ ინფორმაცია მოპოვებულ იქნა პასუხებიდან თუ როგორ დამთავრდა დაუგეგმავი ორსულობა. ქალები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ორსულობა შეწყვიტეს მინი-აბორტით (ვაკუუმ-ასპირაცია ორსულობის 5 კვირამდე) ან ხელოვნური აბორტით (საშვილოსნოს ღრუს კიურეტაჟი ორსულობის 5 კვირაზე მეტი) მოხვდნენ ხელოვნური აბორტის კატეგორიაში. დანარჩენი ქალები განიხილნენ ორსულობის პროლონგირებით კატეგორიაში (მშობიარობა და საშვილოსნოსგარე ორსულობის რამდენიმე შემთხვევა).

კონტრაცეპციის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენების კატეგორიისთვის შეირჩა ქალები, ხელოვნური აბორტის წინ კონტრაცეპციის ამა თუ იმ მეთოდის გამოყენების მიხედვით. თანამედროვე მეთოდების გამოყენება მოიცავდა კონტრაცეპციული აბების, სშს-ს, კონდომის და სშს-ს ერთად, კონდომის და

ტრადიციული მეთოდების ერთად, სპერმიციდების ან საინექციო კონტრაცეპციული საშუალებების გამოყენებას. ხოლო კონტრაცეპციის ტრადიციული მეთოდების გამოყენება გულისხმობდა კალენდარული/რიტმული მეთოდის, შეწყვეტილი სქესობრივი აქტის ან ორივე მეთოდის ერთად გამოყენებას. მონაცემთა სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა იმასთან მიმართებაში, თუ რომელ მეთოდს, თანამედროვე თუ ტრადიციულ მეთოდს, მეტად მიმართავდა ქალი.

ჩვენი კვლევისთვის ფაქტორები, რომლების პოტენციურად შეიძლება ასოცირებული ყოფილიყო დაუგეგმავ ორსულობებთან, მათ გამოსავალთა და ხელოვნური აბორტის წინა პერიოდში კონტრაცეპციის გამოყენებასთან მოიცავდა პრედიქტორულ ცვლადებს, რომლებიც კატეგორიზირებულ იყვნენ ჯგუფებში:

1. **ქალის საცხოვრებელი:** ქალაქი და სოფელი;
2. **ასაკი:** 15-19, 20-24, 25-29, 30-34, 35-39, 40-44 წელი;
3. **განათლების დონე:** არასრული საშუალო, საშუალო, ტექნიკური და უმაღლესი/უმაღლესის შემდგომი;
4. **ქალის მატერიალური მდგომარეობა:** „უჭირს თავის გატანა“, „როგორღაც ახერხებს თავის გატანას“ და „თავისუფლად აკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს“;
5. **ქონებრივი ტერცილი:** დაბალი, საშუალო და მაღალი.
6. **ქალის ეთნიკური წარმომავლობა:** ქართველები და სხვა;
7. **ქალის რელიგიურობა:** ქართველი მართლმადიდებლები, სხვა მართლმადიდებლები, მუსლიმები, სხვა რელიგიები და არანაირი რელიგიური მრწამსით.
8. **ცოცხალი შვილების რაოდენობა:** 0,1,2,3,4 და მეტი ცოცხალი შვილი

კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდებიდან კვლევისთვის სამი დამოკიდებული ცვლადი შეირჩა: კონტრაცეპციული აბების, მამაკაცის კონდომის და სშს-ს გამოყენება. ჩვენს კვლევაში ფაქტორები, რომლებიც პოტენციურად ასოცირებული იყო კონტრაცეპციის გამოყენებასთან, იდენტიფიცირებული როგორც პრედიქტორული ცვლადები, იყვნენ:

1. ქალის საცხოვრებელი: ქალაქი და სოფელი;
2. ასაკი: 15-19, 20-24, 25-29, 30-34, 35-39, 40-44 ასაკობრივი ჯგუფები;
3. განათლების დონე: არასრული საშუალო, საშუალო, ტექნიკური და უმაღლესი/უმაღლესისშემდგომი;
4. ქალის მატერიალური მდგომარეობა: „უჭირს თავის გატანა“, „როგორღაც ახერხებს თავის გატანას“ და „თავისუფლად აკმაყოფილებს საკუთარ მოთხოვნილებებს“;
5. ქონებრივი ტერცილი: დაბალი, საშუალო და მაღალი.
6. ეთნიკური წარმომავლობა: ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა.
7. ქალის რელიგიურობა: ქართველი მართლმადიდებლები, სხვა მართლმადიდებლები, მუსლიმები, სხვა რელიგიები და არანაირი რელიგიური მრწამსით.
8. ცოცხალი შვილების რაოდენობა: 0,1,2,3,4 და მეტი ცოცხალი შვილი

ქალის საცხოვრებლის კონტრაცეპციის თანამედროვე და ტრადიციულ მეთოდზე გავლენის დასადგენად პრედიქტორული ცვლადი იყო საცხოვრებელი, კატეგორიზირებული ქალაქად და სოფლად ცხოვრებით, ხოლო დამოკიდებული ცვლადი - კატეგორიზირებული თანამედროვე და ტრადიციული კონტრაცეპციული მეთოდის მომხმარებით. აღნიშნული კვლევისთვის სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა ცალკეულ ჯგუფებში, რომლებიც დაყოფილი იყო ჯგუფები დაყოფილი იყო ქალის ასაკის, განათლების დონის, ეთნიკურობის, მატერიალური მდგომარეობის, ქონებრივი ტერცილის და ცოცხალი ბავშვების რაოდენობის მიხედვით.

ინფორმირების წყაროს კონტრაცეპციის გამოყენებაზე გავლენის დასადგენად დამოუკიდებელ ცვლადად მივიჩნიეთ სავარაუდო ინფორმირების წყაროები კატეგორიზირებული როგორც: დედა, მამა, ნათესავი, მეგობარი ბიჭი, მეგობარი, თანამშრომელი, კოლეგა, პარტნიორი/ქმარი, ექიმი, ექთანი/ზებიაქალი, სოციალური მუშაკი, ფარმაცევტი, წიგნები, გაზეთები/ჟურნალები/ბროშურები/ფლაერები, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი, სხვა და არ მახსოვს. დამოკიდებული ცვლადი იყო კონკრეტული კონტრაცეპციული მეთოდის გამოყენება.

2.4. კვლევის მეთოდები

მონაცემთა ანალიზი ჩატარდა სტატისტიკური პროგრამით SPSS software (Statistical Package for the Social Sciences, version 17 for windows XP; SPSS, inc, Chicago, 117). გამოყენებულ იქნა ცვლადთა რეკოდირების, შერჩევის და აღწერილობითი სტატისტიკის მეთოდები, ხოლო მულტინომინალური ლოგარითმული რეგრესიული ანალიზი გამოყენებულ იქნა დამოუკიდებელი ანუ პრედიქტორული ცვლადების დამოკიდებულ ცვლადებზე გავლენის შეფარდებითი რისკის დასადგენად. სტატისტიკურად სარწმუნოდ განიხილებოდა სარწმუნოების მაჩვენებელი p-ს მნიშვნელობა ნაკლები 0,05-ზე ($p < 0,05$).

თავი3. საკუთარი კვლევის შედეგები

3.1. აღწერილობითი სტატისტიკა

3.1.1. დაუგეგმავი ორსულობები

კვლევაში მონაწილე ქალების საშუალო ასაკი იყო 29,5 (SD=8.1; საზღვრები - 15-44). 2692 (42,8%) რესპოდენტმა განაცხადა, რომ ჰქონდა ორსულობა ბოლო 5 წლის განმავლობაში. უმრავლესობა იყო ეთნიკური ქართველი, ქართული მართლმადიდებლური რელიგიით. 38 %-ს ჰქონდა უმაღლესი/უმაღლესისშემდგომი განათლება, ნახევარზე მეტი ცხოვრობდა სოფლად და საშუალოზე მეტი რაოდენობა აცხადებდა, რომ როგორღაც ახეხებდა თავის გატანას (ცხრილი 1).


ცხრილი 1. შერჩეული ქალების მახასიათებლები, რომლებიც ბოლო 5 წლის განმავლობაში იყვნენ ორსულად. (n=2,692).

	n	(%)
1	2	3
ორსულობის დაგეგმვა		
დაგეგმილი	1624	60.3
დაუგეგმავი	1068	39,7
საცხოვრებელი		
ქალაქი	1221	45.4
სოფელი	1471	54.6
ასაკი		
15-19	69	2.6
20-24	530	19.7
25-29	757	28.1
30-34	681	25.3

1	2	3
35-39	439	16.3
40-44	216	8.0
განათლება		
არასრული საშუალო	447	16.6
საშუალო	696	25.9
ტექნიკუმი	523	19.4
უმაღლესი/უმაღლესისშემდგომი	1026	38.1
მატერიალური მდგომარეობა		
ძლივს გააქვთ თავი	788	29,3
როგორღაც გააქვთ თავი	1758	65,3
თავისუფლად აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს	146	5,4
ქონებრივი ტერცილი		
დაბალი	874	32,5
საშუალო	975	36,2
მაღალი	843	31,3
ეთნიკურობა		
ქართველები	2292	85.1
სხვა	400	14,9
რელიგიურობა		
ქართული მართლმადიდებლური	2217	82,4
სხვა მართლმადიდებლური	145	5,4
მუსულმანური	268	10,0
სხვა რელიგიები	42	1,6
არანაირი რელიგია	20	0,7
ცოცხალი შვილების რაოდენობა		

	1	2	3
0		84	3,1
1		931	34,6
2		1263	46,9
3		330	12,3
4 და მეტი		84	3,1

1068 (39,7%) ქალმა განაცხადა რომ მათი ორსულობა იყო დაუგეგმავი: 303 (28,4%) ჰქონდა არადროული ორსულობა და 765 (71,6%) არასასურველი ორსულობა.




დიაგრამა N 1. ქალების განაწილება (%) არადროული და დროული ორსულობების მიხედვით

1068 ქალიდან, რომელთაც აღნიშნათ დაუგეგმავი ორსულობა, 433 (40,5%) ცხოვრობდა ქალაქად, 635 (59,5%) - სოფლად. 221 (20,7%) ქალს ჰქონდა არასრული საშუალო, 302 (28,9%) ქალს - საშუალო განათლება, 213 (19,9%)-ს ჰქონდა ტექნიკური


დამთავრებული, ხოლო 332 (31,1%) -ს - უმაღლესი/უმაღლესისშემდგომი განათლება. 7-მა (0,7%) ქალმა განაცხადა, რომ არანაირი რელიგიური რწმენა არ ჰქონდა, 12 (1,1%) ქალი მოექცა სხვა რელიგიების კატეგორიაში, 119 (11,1%) იყო მუსლიმანი, 63 (5,9%) - სხვა მართლმადიდებელი, ხოლო ქართველმა მართლმადიდებლებმა (n=867) შეადგინა ქალების 81,2%.

დაუგეგმავი ორსულობის მქონე ქალების ასაკის მიხედვით გადანაწილება იხ. დიაგრამა 2-ზე.



დიაგრამა N 2. დაუგეგმავი ორსულობების განაწილება ასაკის მიხედვით (%).


913 (85,5%) ქალმა განაცხადა, რომ ორსულობა დასრულა ხელოვნური აბორტით (დიაგრამა N3).




დიაგრამა N3. დაუგეგმავი ორსულობის განაწილება ორსულობის გამოსავლის მიხედვით (%)

913 ქალიდან, რომელთაც დაუგეგმავი ორსულობა შეწყვიტეს ხელოვნური აბორტით, 361 (39,5%) ცხოვრობდა ქალაქად, 552 (60,5%) - სოფლად. 194 (21,2%) ქალს ჰქონდა არასრული საშუალო, 266 (29,1%) ქალს - საშუალო განათლება, 183 (20,0%)-ს ჰქონდა ტექნიკური დამთავრებული, ხოლო 270 (29,6%)-ს - უმაღლესი/უმაღლესისშემდგომი განათლება. 6-მა (0,7%) ქალმა განაცხადა, რომ არანაირი რელიგიური რწმენა არ ჰქონდა, 10 (1,1%) ქალი მოექცა სხვა რელიგიების კატეგორიაში, 110 (12%) იყო მუსლიმანი, 58 (6,4%) - სხვა მართლმადიდებელი, ხოლო ქართველმა მართლმადიდებლებმა (n=729) შეადგინა ქალების 79,8%.

ასაკობრივი გადანაწილება იმ ქალების, რომლებმაც დაუგეგმავი ორსულობა შეწყვიტეს ხელოვნური აბორტით, ასახულია დიაგრამა N 4-ზე. 626 (68,6%) აბორტის წინ არ იყენებდა კონტრაცეპციას, 287 (31,4%) იყენებდა კონტრაცეპციის რაიმე მეთოდს. (დიაგრამა N5).




დიაგრამა N4. დაუგეგმავი ორსულობის ხელოვნური აბორტით შეწყვეტის მაჩვენებლები (%) ასაკის მიხედვით



დიაგრამა N5. კონტრაცეფციის გამოყენების სიხშირე (%) ქალებში დაუგეგმავ ორსულობამდე

დაუგეგმავი ორსულობის ხელოვნური აბორტით დასრულების შემთხვევაში კონტრაცეპციის მეთოდების გამოყენებლებიდან 74 (25,8%) ქალმა აღნიშნა, რომ იყენებდა კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდებს (დიაგრამა N6). ხელოვნურად შეწყვეტილი დაუგეგმავი ორსულობის წინა პერიოდში თანამედროვე კონტრაცეპციის გამოყენებლების მახასიათებლები წარმოდგენილია ცხრილში N2.



დიაგრამა N 6. კონტრაცეპციის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენების სიხშირე ქალებში დაუგეგმავ ორსულობამდე, რომელთაც ორსულობა შეწყვიტეს ხელოვნური აბორტით

ცხრილი 2. ქალების მახასიათებლები, რომლებმაც დაუგეგმავი ორსულობა შეწყვიტეს ხელოვნური აბორტით და იყენებდნენ თანამედროვე კონტრაცეპციას n=287

	n	(%)
1	2	3
საცხოვრებელი		
ქალაქი	115	40,1
სოფელი	172	59,9
ასაკი		
15-19	3	1,0
20-24	32	11,1
25-29	60	20,9
30-34	77	26,8
35-39	71	24,7
40-44	44	15,3
განათლება		
არასრული საშუალო	59	20,6
საშუალო	83	28,9
ტექნიკუმი	59	20,6
უმაღლესი/უმაღლესისშემდგომი	86	30,0
მატერიალური მდგომარეობა		
ძლივს გააქვთ თავი	101	35,2
როგორღაც გააქვთ თავი	177	81,7
თავისუფლად აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს	9	3,1
ქონებრივი ტერცილი		
დაბალი	108	37,6
საშუალო	96	33,4

1	2	3
მაღალი	83	28,9
ეთნიკურობა		
ქართველები	232	80,8
სხვა	55	19,2
რელიგიურობა		
ქართული მართლმადიდებლური	220	76,7
სხვა მართლმადიდებლური	27	9,4
მუსულმანური	32	11,1
სხვა რელიგიები	6	2,1
არანაირი რელიგია	2	0,7
ცოცხალი შვილების რაოდენობა		
0	1	0,3
1	50	17,4
2	168	58,5
3	59	20,6
4 და მეტი	9	3,1

3.1.2. თანამდეროვე მეთოდების მომხმარებლების სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების აღწერილობითი სტატისტიკა

ჩვენს კვლევაში ჩავრთეთ 4487 (71,3%) რესპოდენტი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი. მათი საშუალო ასაკი იყო 32,05 (SD=6.96). მათი უმრავლესობა ეთნიკური ქართველი იყო, 36.7%-ს ჰქონდა

უმალესი/უმალესისშემდგომი განათლება, ნახევარზე მეტი ცხოვრობდა სოფლად (ცხრილი N3). აქედან 714-ს (17,7%) გამოუყენებია და შესაბამისად 3319 ქალს (82,3%) არ გამოუყენებია კონტრაცეპციული აბები. 1047 -მა (24,3%) ქალმა განაცხადა, რომ სწოედსმე გამოუყენებია. 1311 (30,2%) ქალს ოდესმე გამოუყენებია მამაკაცის კონდომი.


ცხრილი N3. შერჩეული ქალების მახასიათებლები, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი n=4487.

	n	%
1	2	3
საცხოვრებელი		
ქალაქი	2044	45.6
სოფელი	2443	54.4
ასაკი		
15-19	130	2.9
20-24	639	14.2
25-29	909	20.3
30-34	1036	23.1
35-39	944	21.0
40-44	829	18.5
განათლება		
არასრული საშუალო	801	17.9
საშუალო	1059	23.6
ტექნიკუმი	982	21.9
უმალესი/უმალესისშემდგომი	1645	36.7
მატერიალური მდგომარეობა		
ძლივს გააქვთ თავი	1358	30,3

1	2	3
როგორღაც გააქვთ თავი	2876	64,1
თავისუფლად აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს	253	5,6
ქონებრივი ტერცილი		
დაბალი	1472	32,8
საშუალო	1637	36,5
მაღალი	1378	30,7
ეთნიკურობა		
სხვა	130	2,9
სომხები	269	6,0
აზერბაიჯანელები	234	5,2
ქართველები	3854	85,9
რელიგიურობა		
ქართული მართლმადიდებლური	3698	82,4
სხვა მართლმადიდებლური	250	5,6
მუსულმანური	437	9,7
სხვა რელიგიები	74	1,6
არანაირი რელიგია	28	0,6
ცოცხალი შვილების რაოდენობა		
0	472	10,5
1	1285	28,5
2	2069	46,1
3	539	12,0
4 და მეტი	122	2,7

3.1.3. კონტრაცეფციის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენება სოფლად და ქალაქად


2234 რესპოდენტთა განაცხადა, რომ კვლევის პერიოდში მიმდინარედ იყენებდნენ კონტრაცეფციის რაიმე მეთოდს. მათი საშუალო ასაკი იყო 32,33 (SD=6.37). 1053 (47,1%) ცხოვრობდა ქალაქად, 1181(52,9%) - სოფლად. თანამედროვე კონტრაცეპციულ საშუალებებს იყენებდა 1436 (64,3%), ტრადიციულ კონტრაცეპციულ მეთოდებს - 7981 (35,7%) (დიაგრამა N). თანამედროვე კონტრაცეპციული მეთოდების მომხმარებლების საშუალო ასაკი იყო 31,8 (SD=6,4), ტრადიციული მეთოდების მომხმარებლების - 33,27(SD=6,3).



დიაგრამა N7. კონტრაცეფციის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენების სიხშირე (%) ქალაქად და სოფლად მცხოვრებ ქალებში.

თანამედროვე კონტრაცეპციას მიმდინარედ იყენებდა ქალაქად მაცხოვრებლების 53,6% (n=770) და სოფლად მაცხოვრებლების 46,4% (n=666), ხოლო ტრადიციულ მეთოდებს - ქალაქად მაცხოვრებლების 35,5% (n=283) და სოფლად მაცხოვრებლების

64,5% (n=515) (დიაგრამა N8). ქალების გადანაწილება სოციო-დემოგრაფიული მახასიებლების მიხედვით მოცემულია ცხრილში N4 .



დიაგრამა N8. კონტრაცეფციის თანამედროვე და ტრადიციული მეთოდების გამოყენების სიხშირე (%) ქალაქად და სოფლად.

ცხრილი N4. შერჩეული ქალების, რომლებიც მიმდინარედ იყენებდა კონტრაცეპციის მეთოდებს, გადანაწილება სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით n=2234

	საცხოვრებელი	კონტრაცეპციის თანამედროვე მეთოდების გამოყენება N (%)	კონტრაცეპციის ტრადიციული მეთოდების გამოყენება N (%)	სულ N (%)
1	2	3	4	5
ასაკი				
15-19	ქალაქი	6(30.0)	2 (28.6)	8 (29.6)
	სოფელი	14 (70.0)	5 (71.4)	19 (70.4)
20-24	ქალაქი	107 (55.7)	22 (27.2)	129 (47.3)
	სოფელი	85 (44.3)	59 (72.8)	144 (52.7)
25-29	ქალაქი	174 (51.9)	45(33.1)	219(46.5)
	სოფელი	161(48.1)	91 (66.9)	252 (53.5)
30-34	ქალაქი	196 (53.8)	80 (36.0)	276 (47.1)
	სოფელი	168 (46.2)	142 (64.0)	310(52.9)
35-39	ქალაქი	177 (56.9)	71 (36.8)	248 (49.2)
	სოფელი	134 (43.1)	122 (63.2)	256 (50.8)
40-44	ქალაქი	110 (51.4)	63 (39.6)	173 (46.4)
	სოფელი	104 (48.6)	96 (60.4)	200 (53.6)
განათლება				
არასრული საშუალო	ქალაქი	51 (25.2)	30 (17.8)	81 (21.8)
	სოფელი	151 (74.8)	139(82.2)	290 (78.2)
საშუალო	ქალაქი	114 (40.6)	56 (26.2)	170 (34.3)
	სოფელი	167 (59.4)	158 (73.8)	325 (65.7)
ტექნიკუმი	ქალაქი	148 (50.0)	58 (34.9)	206 (44.6)
	სოფელი	148 (50.0)	108 (65.1)	256 (56.4)

1	2	3	4	5
უმაღლესი/უმაღლესის- შემდგომი	ქალაქი	457 (69.6)	139 (55.8)	596 (65.8)
	სოფელი	200 (30.4)	110 (44.2)	310 (34.2)
ეთნიკურობა				
სხვა	ქალაქი	23 (63.5)	7 (46.7)	30 (51.7)
	სოფელი	20 (46.5)	8 (53.3)	28 (48.3)
სომხები	ქალაქი	28 (60.9)	16 (18.6)	44 (33.3)
	სოფელი	18 (39.1)	70 (81.4)	88 (66.7)
აზერბაიჯანელები	ქალაქი	8 (15.4)	7 (15.2)	15 (15.3)
	სოფელი	44 (84.6)	39 (84.8)	83 (84.7)
ქართველები	ქალაქი	711 (54.9)	253 (38.9)	964 (49.5)
	სოფელი	584 (45.1)	398 (61.1)	982 (50.5)
ოჯახის მატერიალური სტატუსი				
ძლივს გააქვთ თავი	ქალაქი	111 (35.8)	67 (24.0)	170 (30.2)
	სოფელი	199 (64.2)	212 (76.0)	411 (69.8)
როგორღაც გააქვთ თავი	ქალაქი	587 (57.2)	199 (40.0)	796 (51.5)
	სოფელი	440 (42.8)	299 (60.0)	739 (48.5)
თავისუფლად აკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს	ქალაქი	721 (72.7)	17 (81.0)	89 (74.2)
	სოფელი	27 (27.3)	4 (19.0)	31 (25.8)
ქონებრივი ტერცილი				
დაბალი	ქალაქი	528 (95.35)	170 (97.1)	698 (95.9)
	სოფელი	25 (4.5)	5 (2.9)	30 (4.1)
საშუალო	ქალაქი	200 (39.2)	92 (29.8)	292 (35.7)
	სოფელი	310 (60.8)	217 (70.2)	527 (64.3)
მაღალი	ქალაქი	42 (11.3)	21 (6.7)	63 (9.2)
	სოფელი	331 (88.7)	293 (93.3)	924 (90.8)

1	2	3	4	5
ცოცხალი შვილების რაოდენობა				
0	ქალაქი	20 (76.9)	2 (40.0)	22 (71.0)
	სოფელი	6 (20.1)	3 (60.0)	9 (29.0)
1	ქალაქი	228 (60.6)	75 (46.6)	303 (56.4)
	სოფელი	148 (39.4)	86 (59.4)	234(43.6)
2	ქალაქი	436 (54.0)	166 (35.1)	602 (47.0)
	სოფელი	371 (46.0)	307 (64.9)	677 (53.0)
3	ქალაქი	77 (40.1)	31 (23.5)	108 (33.3)
	სოფელი	115 (59.9)	101 (76.5)	216 (66.7)
4	ქალაქი	9 (25.7)	9 (33.3)	18 (29.0)
	სოფელი	26 (74.3)	18(66.7)	44 (61.0)
რელიგია				
არანაირი რელიგია	ქალაქი	5 (55,6)	2 (66,7)	7 (58,3)
	სოფელი	4 (44,4)	1 (33,3)	5 (41,7)
სხვა რელიგიები	ქალაქი	7 (58,3)	3 (11,5)	10 (26,3)
	სოფელი	5 (41,7)	23 (88,5)	28 (73,7)
მუსულმანური	ქალაქი	13 (15,3)	14 (14,6)	27 (14,4)
	სოფელი	72 (84,7)	82 (85,4)	154 (85,1)
სხვა მართლმადიდებლური	ქალაქი	351 (64,8)	12 (19,0)	47 (40,2)
	სოფელი	19 (35,2)	5 (81,0)	70 (59,8)
ქართული მართლმადიდებლური	ქალაქი	710 (55,6)	252 (41,3)	962 (51,0)
	სოფელი	566 (44,4)	358 (58,7)	924 (49,0)

3.1.4. კონტრაქციაზე ინფორმირების წყაროები

კვლევაში მონაწილე 6292 რესპოდენტიდან კონტრაქციაზე ინფორმირების წყაროების გავლენის დასადგენად შეირჩა 4487 ქალი, რომლებსაც ოდესმე ჰქონიათ სქესობრივი კავშირი. ამ ქალების სხვადასხვა კონტრაქციულ მეთოდებზე ინფორმაციის მიღების წყარო ნაჩვენებია ცხრილში N5

ცხრილი N5. კონტრაცეპციულ მეთოდებზე ინფორმირების წყაროები n(%).

